ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიხეილ ბახტაძე

დასავლეთ საქართველოს ფეოდალური საგვარეულოების ისტორიიდან

(XI-XIII საუკუნეები)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიხეილ ბახტაძე

დასავლეთ საქართველოს ფეოდალური საგვარეულოების ისტორიიდან

(XI-XIII საუკუნეები)

გამომცემლობა „უნივერსალი"

თბილისი 2008

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი: დოქტორი **დავით მერკვილაძე**

© მ. ბახტაძე, 2008

გამომცემლობა „უნივერსალი", 2008

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-12-398-6

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცნობები XI-XIII საუკუნეებში დასავლეთ საქართველოში მოღვაწე ფეოდალური საგვარეულოების შესახებ, ძირითადად მხოლოდ ქართულ წყაროებშია დაცული. თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ ესა თუ ის ფეოდალი „მხოლოდ მაშინ არის ხოლმე დასახელებული, როდესაც რომელიმე ისტორიულ ამბავში მონაწილედ გამოვიდოდა, ამიტომ ამ ცნობებსაც შემთხვევითი ხასიათი აქვს და სრულად ვერ ჩაითვლება" (37;333). სამწუხაროდ, ჩვენ არ ვართ განებივრებული ფეოდალური საგვარეულოების საისტორიო მატიანეებით, ისეთებით როგორიცაა, მაგალითად, „ძეგლი ერისთავთა". სავარაუდოდ, დიდ საგვარეულოებს მაინც, გააჩნდათ საგვარეულო მატიანეები, მაგრამ მათ ჩვენამდე არ მოაღწიეს. მაგალითად, დანამდვილებითაა ცნობილი, რომ XIV საუკუნეში ჯერ კიდევ არსებობდა ბაღვაშთა საგვარეულო მატიანე ე.წ. „წიგნი ბაღუშისთა", როგორც მას ჟამთააღმწერელი უწოდებს (30;268).

წყაროებში დაცული ცნობების საფუძველზე, XI-XIII საუკუნეებში დასავლეთ საქართველოში არსებული ზოგიერთი საგვარეულოს ისტორიის აღდგენა რამდენიმე თაობის მანძილზე შეგვიძლია. მაგალითად: დადიანები, კახაბერისძეები, ვარდანისძეები. სამაგიეროდ, სხვა საგვარეულოების შესახებ ბევრს ვერაფერს ვიტყვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საღირისძეები

საღირისძეები 1184 წელს თამარის მეფედ კურთხევის ცერემონიალში მონაწილეობდნენ – „და სრულ ყვეს მოხელეთა სვიანთა და დიდებულთა ვარდანისძეთა, საღირისძეთა და ამანელისძეთა მოღება და დადება ხრმლისა“ (30;27). ამის მეტი ამ საგვარეულოს შესახებ არაფერი ვიცით. ი. ანთელავას აზრით, საღირისძეთა საგვარეულო ვახტანგ გორგასლის დროინდელ ეგრისის ერისთავს, სამნაღირს უნდა უკავშირდებოდეს (5;16). სამნაღირი//საღირი, შესაძლოა, მართლაც საღირისძეთა საგვარეულოს ფუძემდებელი იყო. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ სამნაღირსა და საღირისძეთა შორის თითქმის შვიდსაუკუნოვანი ქრონოლოგიური დაცილებაა.

ქუაბულისძეები

წყაროებში, ამ საგვარეულოს პირველ წარმომადგენლად, გიორგი II-ის თანამედროვე ნიანია ქუაბულისძეა დაფიქსირებული. ამ უკანასკნელმა, 1073 წელს მეფის წინააღმდეგ მოწყობილ აჯანყებაში მიიღო მონაწილეობა: „ნიანია ქუაბულისძემან და ივანე ლიპარიტის ძემან და ვარდან სვანთა ერისთავმან, რეცა თუ იკლეს რამე სიყრმით გიორგი მეფისათ და აუშალეს ქვეყანა: ივანე მოირთნა კახნი და დადგა ქსნის პირსა და ნიანია წარუღო ქუთათისისა საჭურჭლე და შედგა ქუთათისს შიგა და ვარდან გაადგინნა სვანნი ავისა მოხარკულნი, დაარბიეს და ამოსწყვიდეს საეგრო“. მეფემ ამბოხებულთა შემორიგება მათთვის ახალი სამფლობელოების მიცემით გადაწყვიტა და უბოძა „ნიანიას თმოგვი და სხუანი საქონელნი რჩეულნი“ (29;315-316). XI საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს თმოგვში ნიანიას ძე, კახაბერი ცხოვრობდა თავის ოჯახთან ერთად. კახაბერ ნიანიას ძე, 80-იანი წლების ბოლოს საქართველოში მომხდარი ძლიერი მიწისძვრის დროს დაიღუპა: „მოხედნა უფალმან რისხვითა და შეძრა ქვე-

ყანა საფუძველითურთ... თმოგვიცა დაიქცა და დაიპყრნა ქვეშე კახაბერი, ძე ნიანიასი ცოლითურთ“ (29;323). მიწისძვრას კახაბერის ვაჟი, ნიანია გადაურჩა. ის დავით IV აღმაშენებლის თანამედროვე იყო. მეფის მემატიანე წერს: „ეგრეთვე ნიანია კახაბერის ძეცა და სხუანიცა აზნაურნი მცირედ-მცირედ შემოკრბიან დაშთომილნი სადავე და სოფლებადცა იწყეს შთამოსვლად და დასხდომად“ (29;324). წყაროებში ქუაბულისძეთა შემდეგი მოხსენიება XIII საუკუნის 60-იან წლების მოვლენებთან დაკავშირებით ხდება, როდესაც მათ დასავლეთ საქართველოს სხვა ფეოდალებთან ერთად დავით ნარინის წინააღმდეგ გამოსვლა და ტახტზე დავით ულუს დასმა განიზრახეს: „მაშინ ეზრახნეს კახაბერისძესა რაჭის ერისთავსა კახაბერსა, ქუაბულისძეთა, ფარაჯანიანთა სარგისს, რათა ლაშას ძე დავით ყონ მეფედ“ (30;243). სავარაუდოა, რომ მეფემ მოწინააღმდეგეები არ, ან ალბათ უფრო ვერ დასაჯა.

საინტერესოა, რომ დავით ნარინის ერთ-ერთ სიგელში მოხსენიებულია ამირეჯიბი ბელე ქობულისძე, ალბათ იგივე ქუაბულისძე (33;161). მეფემ მისგან სოფელი კვახჭირი იყიდა.

ტრადიციულად ფეოდალურ საგვარეულოებში ერთი და იგივე სახელები მეორდებოდა, თუმცა ეს საყოველთაოდ მიღებული წესი არ იყო და მხოლოდ სახელზე დაყრდნობით (სხვა მონაცემების არ არსებობის პირობებში) ამა თუ იმ პიროვნების რომელიმე საგვარეულოსადმი მიკუთვნება მეტწილად მაინც პირობითია. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც გამოვთქვამთ ერთ ვარაუდს. ნიანია ქუაბულისძის წინაპარი ხომ არ იყო XI საუკუნის დასაწყისში მოღვაწე, რაჭის ერისთავი ნიანია, რომელიც ნოველისიმოსის საკმაოდ მაღალ ბიზანტიურ ტიტულსაც ატარებდა და ნიკორწმინდის ტაძრის წარწერაში მოიხსენიება – „მეოხ ექმენ და მფარველ წინაშე ღმრთისა ნიანიას ერისთავთ-ერისთავსა და ნოველისიმოსს“ (24;101). ისიც გასათვალისწინებელია, რომ ორივე ნიანია დასავლეთ საქართველოში მოღვაწეობდა და სახელიც სპეციფიკურია (თუმცა ეს სახელი სხვა საგვარეულოშიც ფიქსირ-

დებოდა. ჩვენ ვიცით ნიანია ნიანიასძე, გრიგოლ მაოხრებელის შვილი და ნიანია ტოხაისძეც). ვ. სილოგავა წარწერას XI საუკუნით ათარიღებს. თავის დროზე გ. ბოჭორიძე წერდა – „ნიანია ერისთავთ-ერისთავის ნოველისიმოსობა საეჭვოა, მაგრამ ბროსეს მიერ აღმოკითხული ტექსტი და წარწერიდან დარჩენილი კვალი გვაფიქრებინებს, რომ ამ ადგილას შესაძლებელია მართლაც წერებულიყო სიტყვა ნოველისიმოსი" (12;201). მეცნიერის აზრით, წარწერა ტაძრის აგების თანადროულია ე.ი. ის XI საუკუნის დასაწყისით (1010-1014 წწ.) თარიღდება.

დადიანები

საუკუნეების მანძილზე დადიანები ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი და ძლიერი ფეოდალური საგვარეულო იყო.

დადიანების წარმოშობის შესახებ, ქართულ ისტორიოგრაფიაში, რამდენიმე მოსაზრება არსებობს. პ. ინგოროყვას აზრით, გვარი დადიანი დადის-წყალზე მდებარე რეზიდენციის სახელის „დადის-ციხისაგან" წარმოსდგება, ხოლო მეორე რეზიდენციას – ბედიას, უკავშირდება საგვარეულო სახელი ბედიანი (18;641). ეს აზრი თავის დროზე სამართლიანად გააკრიტიკა ნ. ბერძენიშვილმა – „დასამტკიცებელია დებულება, იწარმოება თუ არა ქართულად ადამიანის გვარ-სახელი საგეოგრაფო პუნქტის სახელიდან „იან", „ან" სუფიქსით? თუ ამ სუფიქსის ქართულ ბუნებას გავითვალისწინებთ, ზემოთ დასმულ კითხვაზე უარყოფითად უნდა ვუპასუხოთ" (11;342). თ. ბერაძე აღნიშნავს – „1963 წელს მოვიარეთ ენგურის მარჯვენა ნაპირის სამეგრელო და არსად არ გვინახავს და ვერ ჩავიწერთ ტოპონიმი დადისწყალი და დადის-ციხე". მკვლევარი იზიარებს იმ მოსაზრებას, რომელიც პირველად ნ. ბერძენიშვილმა გამოთქვა და აღნიშნავს – „დადიანი სვანური წარმოშობის გვარი უნდა იყოს და ნიშნავს დადის შთამომავლობას" (9;152).

დ. ბაქრაძის აზრით: „როგორც გურიელები, ასევე დადიანების პირველი დინასტია წარმომავლობით ერთსა და იმავე

ვარდანისძეების საგვარეულოს უნდა მივაკუთვნოთ“ (7;225). დადიანების წარმომავლობასთან დაკავშირებული ეს მოსაზრება საკმაოდ გავრცელებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში და მას მრავალი მკვლევარი იზიარებს. თუმცა აღსანიშნავია, რომ ამ თვალსაზრისის დამატკიცებელი პირდაპირი ცნობები წყაროებში არ მოიპოვება. აქ ალბათ გასათვალისწინებელია, რომ დადიანთა საგვარეულოში გავრცელებული იყო ვარდანისძეთათვის დამახასიათებელი სახელები: ივანე და ვარდანი. ეს კი შეიძლება დ. ბაქრაძის მოსაზრების სასარგებლო არგუმენტად მივიჩნიოთ.

უკანასკნელად დადიანების წარმომავლობის საკითხს ი. ანთელავა შეეხო. მკვლევარი ეყრდნობა რა სოლომონ I-ის წერილს ეკატერინე II-სადმი, სადაც არის ასეთი ადგილი – „პირველთაგან დადიანი ჩვენი თავადი ყოფილა, გვარით საღიძე“, აღნიშნავს: „როგორც ჩანს, XVIII ს-ის დასავლეთ საქართველოში იყო წერილობითი თუ ზეპირი ტრადიცია, რომელიც ძველ დადიანთა საგვარეულოს „საღიძეთა“ გვარს უკავშირებდა“ (5;16). მკვლევარის თვლის, რომ საღიძე არის დამახინჯებული საღირისძე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საღირისძეები მართლაც ცნობილი გვარი იყო XII საუკუნში და ისინი თამარის მეფედ კურთხევის ცერემონიალში იღებდნენ მონაწილეობას. ი. ანთელავას აზრით, რადგან ვარდანისძეები და ამანელისძეები ერისთავები არიან, ამიტომ „ამ ცნობილ საგვარეულოებთან საღირისძეთა მოხსენიება თვალნათლივ მოწმობს მათ როლს. საეჭვო არ უნდა იყოს ისიც, რომ ეს გვარი საერისთავო იყო ... ნიშანდობლივია, რომ თამარის მეფედ კურთხევის ცერემონიალში ... არ ჩანს დადიანთა საგვარეულო ... ასეთ დაწინაურებულ საგვარეულოს არ შეიძლება საპატიო ადგილი არ სჭეროდა მეფის კურთხევაზე. ვფიქრობთ, მათი მოუხსენიებლობა იმით აიხსნება, რომ ისტორიკოსი დადიანებს „საღირისძეებში“ გულისხმობს ... გვაქვს საფუძველი სოლომონ I-ის წერილში დაცული ცნობა დადიანთა ძველი დინასტიის „საღიძეობის“ შესახებ რეალურად მივიჩნიოთ და დადიან-„საღიძეები“ დავუკავშიროთ საღირისძეთა საგვარეულოს“ (5;16-17). ჩვენ არ ვიზიარებთ

ი. ანთელავას მოსაზრებას და შევეცდებით რამდენიმე არგუმენტი მოვიყვანოთ. პირველი – დადიანთა მოუხსენიებლობა თამარის მეფედ კურთხევის დროს არ ნიშნავს მაინცდამაინც იმას, რომ ისტორიკოსი მათ სხვა გვარის ქვეშ გულისხმობს. თამარის მეფედ კურთხევის დროს არც ერისთავთ-ერისთავები შარვაშისძეები მოიხსენიებიან განა ეს იმას ნიშნავს, რომ ისტორიკოსი მათაც სხვა გვარის ქვეშ გულისხმობს? რა თქმა უნდა, არა. არაა აუცილებელი რომ „ხრმლის მოღების" ცერემონიალში ყველა საგვარეულოს მიეღო მონაწილეობა. მეორე – დადიანთა საგვარეულოს პირველი წარმომადგენელი, ივანე, წყაროებში XI საუკუნის 40-იან წლების ამბების თხრობის დროს მოიხსენიება. თამარის მეფედ კურთხევა, რომელშიც საღირისძეები მონაწილეობენ, 1184 წელს მოხდა. თუ ი. ანთელავას მოსაზრებას გავიზიარებთ, გამოდის, რომ „ისტორიანი და აზმანის" ავტორი საღირისძეების ქვეშ იმ დადიანებს გულისხმობს, რომლებიც სულ ცოტა 140 წლის გამოყოფილები უნდა იყვნენ საღირისძეების საგვარეულოსაგან. ასეთი რამ ჩვენ შეუძლებლად მიგვაჩნია. ჩვენთვის გაუგებარია, როგორ შეიძლება ერთი გვარის ქვეშ მეორე, თუნდაც თავის დროზე ამ გვარისაგან გამოყოფილი გვარი ვიგულისხმობთ. გამოყოფის შემდეგ, საფუძველი ახალ გვარს ეყრება და მას თავისი გვარსახელი გააჩნია. „ისტორიანი და აზმანის" ავტორი თამარის თანამედროვეა, მან კარგად იცის რასაც წერს. დადიანებს ის სწორედ იმიტომ არ მოიხსენიებს, რომ ისინი „ხრმლის მოღებაში" არ მონაწილეობენ. დადიანებს ამ ცერემონიალში მონაწილეობა რომ მიეღოთ, ისტორიკოსი ამას აღნიშნავდა და არ იგულისხმებდა ამ მართლაც გავლენიან საგვარეულოს საღირისძეების ქვეშ. მესამე – სრულიად აშკარაა, რომ გვარი საღირისძე მომდინარეობს სახელიდან საღირი, დადიანი კი – სახელიდან დადი. მათ შორის არავითარი კავშირი არ უნდა იყოს.

დღეისათვის ჩვენს ხელთ არსებული წყაროები არ იძლევა იმის საშუალებას, რომ გადაჭრით ვამტკიცოთ დადიანების საგვარეულო სახელწოდების წარმოშობის ამა თუ იმ მოსაზრების სისწორე. ჩვენი აზრით, ცხადია მხოლოდ ერთი

რამ, გვარი დადიანი სახელ დადისაგან წარმოსდგება (ალბათ დადი ვარდანისძე იყო ამ გვარისათვის სახელის დამდები).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დადიანთა საგვარეულოს პირველი წარმომადგენელი, ივანე XI საუკუნის 40-იანი წლების ამბების თხრობისას მოხსენიება. „მატიანე ქართლისაჲ“ წერს: „გამოიტყუვნა (ლიპარიტ IV-მ) ანისით დედოფლისაგან აბუსერი ერისთავი არტანუჯისა... და ივანე ერისთავი, ივანე დადიანი და გუარამ გოდერძის ძე, ბეჭის ციხის პატრონი“ (29;300). ცხადია, რომ ივანე ბაგრატ IV-ის მომხრეა. ამის მეტი მის შესახებ არაფერი ვიცით. ჩვენი აზრით, შ. მესხიამ ივანე დადიანი სრულიად მართებულად გააიგივა XI საუკუნის ერთ-ერთ მინაწერში მოხსენიებულ ივანესთან (20;149). მინაწერში ვკითხულობთ – „მეოხ ეყავ წინაშე ღმრთისა... ერისთავთ-ერისთავსა იოვანე დადიანსა“ (17;95). ივანე ოდიშის ერისთავი უნდა იყოს გამომდინარე იქიდან, რომ საუკუნეების მანძილზე დადიანები ოდიშის ერისთავობას ფლობდნენ.

ბაგრატ IV-ის თანამედროვე ივანეს შემდეგ, წყაროები ოდიშის ერისთავებს XII საუკუნემდე აღარ მოიხსენიებენ. XII საუკუნის ბოლოს ერისთავია ბედან (I) დადიანი. „ისტორიანი და აზმანი“ წერს: „და ერისთავნი მის ჟამისანი ესენი იყვნეს ... და ოდიშის ერისთავად ბედიანი“ (30;34). აღსანიშნავია, რომ მარიამ დედოფლისეულ ვარიანტში წერია არა ბედიანი, არამედ ბედანი. ჩვენი აზრით, ეს უფრო სწორი ფორმაა. რაც შეეხება იმას, რომ ვახუშტი იყენებს ფორმას „ბედიელი“, ჩვენ ვიზიარებთ თ. ბერაძის აზრს, რომ „ვახუშტის ბედიელი შეცდომად უნდა ჩავთვალოთ... ბედიელი როგორც ტიტული, ქართულ წყაროებში არა ერთხელ მოიხსენიება, მაგრამ როგორც წოდება ბედიის ეპისკოპოსისა“ (9;160). ასევე მართებულია თ. ბერაძის შენიშვნა ვახუშტი ბატონიშვილთან და ბერი ეგნატაშვილთან მოხსენიებული შანშე დადიანის შესახებ: „მათ ტექსტის შინაარსი ვერ გაუგიათ და შადადიანების ნაცვლად შანშე დადიანი დაუწერიათ“ (9;153).

საინტერესოა ზუგდიდის ეკლესიის წარწერა – „სამებაო სამთვისებაო და ერთარსებაო, შემწე ეყავ ორსავე ცხორებასა შინა ერისთავთ-ერისთავთა გიორგი, იოვანე, შვილი მათ-

ნი...“ (24;144). ა. ტულუშს შესწორება შეაქვს ტექსტში და წარწერაში ბედან II დადიანის შვილების: გიორგის, ივანეს და ერშაჰრის სახელებს კითხულობს (28;48). ვ. სილოგავას აზრით, „წარწერის ტექსტის შესწორებისათვის ჩვენ საფუძველი არა გვაქვს. ხოლო პალეოგრაფიული ნიშნებით წარწერა XII საუკუნეს განეკუთვნება“ (24;144). ასეთ შემთხვევაში გიორგი და ივანე XII საუკუნის ერისთავებად უნდა მივიჩნიოთ, რომლებიც ბედან I დადიანამდე მოღვაწეობდნენ.

თ. ბერაძის აზრით, XII საუკუნის ბოლოსა და XIII საუკუნის დასაწყისში ოდიშის ერისთავები იყვნენ: ბედანი (I), ჯუანშერი, ბედანი (II), გიორგი (გარდაიცვალა 1323 წელს) (9;159-160). ი. ანთელავა თვლის, რომ ბედან I, ჯუანშერი, ბედან II და გიორგი არიან დადიანების ერთი შტო, ხოლო ვარდან I, ცოტნე I, ვარდან II, შერგილი და ცოტნე II კი – მეორე შტო. მკვლევარის აზრით, ბედან I და ვარდან I ძმები არიან (3;15-17).

ათონის ივერთა მონასტრის აღაპებში მოხსენიებულია „ვარდან კოსტანტის ძე“ (1;258). თ. ჟორდანია და პ. ინგოროყვა (22;131 და 18;577) ვარდან კოსტანტის ძეს, ვარდან (I) დადიანთან აიგივებენ. ასეთ შემთხვევაში, თუ თან ი. ანთელავას აზრს გავითვალისწინებთ, კოსტანტი ბედან I-ის მამადაც უნდა მივიჩნიოთ. ნ. შოშიაშვილი „ვარდან კოსტანტის ძეს“ რაჭის დიდგვაროვან ფეოდალად მიიჩნევდა (34;127). უკანასკნელად ამ საკითხს შ. მესხია შეეხო. მან შესაძლებლად ჩათვალა, „ვარდან კოსტანტის ძისა“ და ვარდან დადიანის გაიგივება (20;153). აქ ერთ მომენტია აღსანიშნავი, სახელი კოსტანტი დადიანთა საგვარეულოში ჩვენს მიერ დადასტურებული არ არის და შემდგომ საუკუნეებშიც (XIV-XV) ეს სახელი ამ საგვარეულოში არ გვხვდება. ეს კი შესაძლოა გაიგივებისათვის საწინააღმდეგო არგუმენტად გამოვიყენოთ. თუმცა აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ XI-XV საუკუნეების ამსახველი წყაროები მეტად მცირეა და შესაძლოა საგვარეულოში არსებული სახელი უბრალოდ არ დაფიქსირდა წყაროში. ჩვენ ნამდვილად ვიცით, რომ XIII საუკუნეში მოღვაწეობდა ჯუანშერ დადიანი. სახელი ჯუანშერი კი

საერთოდ არ არის დამახასიათებელი დადიანთა საგვარეულოსათვის, არც მანამდე და არც მერე ის აღარ გვხვდება. ისევე როგორც სახელი ერშაჰრი. ამდენად თავისუფლად შეიძლება დავუშვათ, რომ კოსტანტი დადიანი ვარდანისა და ბედანის მამა იყო.

შ. მესხიას აზრით, „ვარდანი და მარუშიანი ძმები არიან" (20;153). მკვლევარი „ისტორიანი და აზმანში" მოხსენიებულ ვარდანსა და მარუშიანს გულისხმობს – „და კუალად უბოძა მსახურთუხუცესობა ვარდანს დადიანსა, ჩუხჩარეხობა მარუშიანსა ძესა ჩუხჩარეხისასა" (30;33). ჩვენთვის ეს მოსაზრებაც მისაღებია. გასათვალისწინებელია, რომ მსახურთუხუცესობის მიღებამდე ვარდან დადიანი ჩუხჩარხის თანამდებობას ფლობდა. რა თქმა უნდა არაა აუცილებელი, რომ გამონთავისუფლებული თანამდებობა იგივე საგვარეულოს წარმომადგენელს ბოძებოდა, რომელსაც იგი მანამდე ეკავა. თუმცა ცალკეული საგვარეულოების მიერ, რამდენიმე თაობის მანძილზე, ამა თუ იმ თანამდებობების ფლობა ფეოდალური სამყაროსათვის დამახასიათებელი ტენდენციაა. თუ ყოველივე ზემოთ თქმულთან დაკავშირებით, მხედველობაში კიდევ ერთ ცნობას მივიღებთ – „უბოძა ჩუხჩარეხობა მარუშიანსა ძესა ჩუხჩარეხისასა", – შეიძლება დავუშვათ, რომ კოსტანტი დადიანი ოდიშის ერისთავობასთან ერთად ჩუხჩარხის თანამდებობასაც ფლობდა. მართალია მარუშიანამდე ჩუხჩარეხის თანამდებობას ვარდანი ფლობდა, მაგრამ მისი მიჩნევა მარუშიანის მამად შეუძლებელია. „ისტორიანი და აზმანის" ჩვენთვის საინტერესო ცნობა 1185-1186 წლის ამბებს განეკუთვნება, როდესაც სამეფო ხელისუფლებამ ყუთლუ-არსლანის „დასის" გამოსვლა ჩაახშო და თანამდებობებზე ახალი პიროვნებები დანიშნა: კახაბერ ვარდანისძე – მეჭურჭლეთუხუცესად, ვარდანი – მსახურთუხუცესად, ხოლო მარუშიანი – ჩუხჩარეხად. მარიამისეულ ნუსხაში წერია, რომ ვარდანისა და მარუშიანის მამა უკვე ასაკოვანი პიროვნება იყო (30;33). ეს კი თავისთავად გამორიცხავს ვარდანისა და მარუშიანის მამა-შვილობას. შ. მესხიამ ისინი სრულიად მართებულად ძმებად მიიჩნია.

ჩვენი აზრით, XI-XII საუკუნეებში მოღვაწე დადიანთა გენეალოგია, შეიძლება შემდეგი სახით წარმოვიდგინოთ:



დადიანთა საგვარეულოს ამ შვიდი წარმომადგენლიდან, ჩვენ ყველაზე მეტი ინფორმაცია ვარდან I-ის შესახებ გაგვაჩნია.

ვარდან I XII საუკუნის ბოლო მეოთხედის მოღვაწე იყო. გიორგი III-ის გარდაცვალებისას, 1184 წელს, ვარდანი ჩუხჩარეხის თანამდებობას ფლობს (30;25). დაახლოებით 1185-1186 წლებში, ყუთლუ-არსლანის „დასის" გამოსვლის ჩახშობის შემდეგ ის მსახურთუხუცესის თანამდებობას იკავებს (30;33). ვარდანი გიორგი რუსის აჯანყების ერთ-ერთი ინიციატორი და აქტიური მონაწილე იყო. მემატიანე წერს: „ვარდან დადიანი, მსახურთუხუცესი, ლიხთ-აქით პატრონი ორბეთისა და კაენისა, ლიხთ-იქით ნიკოფსამდის უცილობელად ქონებისა, და თვით ქუეშისა ციხესა მყოფი" (30;49). დიდი ხანია ისტორიკოსთა ინტერესს იწვევს თუ რას ნიშნავს მემატიანის სიტყვები „ლიხთ-იქით ნიკოფსამდის უცილობლად ქონებისა". თ. ბერაძე აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წერს: „რატომ არის ვარდანი ლიხთ-იქით ნიკოფსამდე უცილობელი მფლობელი? მას თითქოს საერისთავო არ აქვს დასავლეთ საქართველოში... ამავე დროს დასავლეთ საქართველოში მას დიდი უფლებები აქვს. შეუძლია მთელი ამ მხარის ჯარის შეკრება. მემატიანის გადმოცემით... თითქოს თამარ

მეფის ბრძანებით შეკრიბა დასავლეთ საქართველოს ლაშქარი. ეტყობა მას ამის უფლება ჰქონია, რაც გვაგულისხმებინებს რომ ვარდან დადიანი დასავლეთ საქართველოს სხვა ერისთავებზე უზენაესი იყო" (9;155). თვითონ ფაქტი, რომ ვარდანმა ჯარი მოტყუებით შეკრიბა, ჩვენ მემატიანის მიერ გამოგონილი გვგონია და ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით ცოტა ქვემოთ ვისაუბრებთ. თ. ბერაძე ივ. ჯავახიშვილის აზრს იზიარებს, რომ „ყველა ერისთავთ-ერისთავის საგამგეო ერთნაირი ღირსებისად არ ითვლებოდა. მათ შორის ზოგი უფრო საპატიოდ იყო ცნობილი, ზოგს კიდევ ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა. საერისთავთ-ერისთავოთა ანუ სამთავროთაგან ყველაზე უფრო მეტი ხარისხი ეპყრათ და უაღრესად საპატიოდ ისეთი ადგილები ითვლებოდნენ, რომელნიც წინათ მეფეთა საჯდომად და სამეფოებად იყვნენ" (37;336). თ. ბერაძის აზრით, „აფხაზეთის სამეფოც დამოუკიდებელი ერთეული იყო... ამიტომ, საგულისხმოა, აფხაზთა მეფეთა ადგილზე მჯდომი ერისთავთ-ერისთავიც უნდა ყოფილიყო... რადგან ვარდან დადიანი გამოდის დასავლეთ საქართველოს ყველა ერისთავთა უზენაესი, ჩვენ თავისუფლად შეგვიძლია ჩავთვალოთ იგი აფხაზთა მეფეთა ადგილზე მჯდომ ერისთავთ-ერისთავად და მის საპატრონო ქვეყანადა დასავლეთ საქართველოში სამოქალაქო ვიგულისხმოთ" (9;155).

ჩვენ არ ვიზიარებთ ამ მოსაზრებას.

პირველი – ვარდან დადიანს დასავლეთ საქართველოს ერისთავების შეკრების უფლება იმიტომ ჰქონდა, რომ ის ამ მხარის სპასალარი იყო და არა იმიტომ, რომ აფხაზთა მეფეთა ადგილზე იჯდა (ცნობილია, რომ სამცხის სპასალარს, როგორც მეწინავე ჯარის სარდალს, ემორჩილებოდნენ სამხრეთ საქართველოს ერისთავები. ქართული ფეოდალური ლაშქარი საქართველოს ცალკეული კუთხეების მიხედვით იკრიბებოდა. მეწინავე ჯარი – მესხეთში. დანარჩენი ნაწილები კი – დასავლეთ საქართველოში, კახეთ-ჰერეთსა და ქართლში. ყოველივე მათგანს ეყოლებოდა თავისი სარდალი, მსგავსად სამხრეთ საქართველოდან გამომავალი ჯარისა. ის რომ საქართველოში რამდენიმე სპასალარი იყო, ცხადია ბა-

სილი ეზოსმოძღვრის სიტყვებიდან: „ ... ხოლო აღივსებოდა რა კრება, შემოვიდეს ყოველნი სპასალარნი და ერისთავნი სამეფოსანი“ (30;119). აშკარაა, რომ სამეფო კარზე რამდენიმე სპასალარი იყო და არა ერთი. ამავე დროს სპასალარების მოხსენიება ერისთავებზე წინ, იმის მანიშნებელი უნდა იყოს, რომ სპასალარობა უფრო დიდი „პატივია“ ვიდრე ერისთავობა. ეს ნათლად ჩანს ჯაყელების მაგალითზეც, რომლებიც სპასალარობით უფრო ხშირად მოიხსენიებიან ვიდრე ერისთავობით. სპასალარობის ასეთი დაწინაურება შეიძლება მართლაც დავით აღმაშენებლის დროს მოხდა, როგორც ამას ნ. ბერძენიშვილი ვარაუდობდა. ვარდან დადიანი დასავლეთ საქართველოს სპასალარი იყო, ისევე როგორც იმავე პერიოდში მოღვაწე ასათ გრიგოლის ძე კახეთ-ჰერეთისა. ზ. ანჩაბაძის აზრით, დასავლეთ საქართველოს ერისთავები უშუალოდ მეფეს კი არ ემორჩილებოდნენ, არამედ მსახურთუხუცესს ექვემდებარებოდნენ, რომელიც დასავლეთ საქართველოში მეფისნაცვალი იყო. მკვლევარის აზრით, ასეთ მეფისნაცვალად ვარდან დადიანი უნდა მივიჩნიოთ. ჩვენ არც ამ მოსაზრებას ვეთანხმებით. როგორც აღვნიშნეთ, ჩვენი აზრით, ვარდან დადიანი დასავლეთ საქართველოს სპასალარი იყო.

მეორე – რა თქმა უნდა სავსებით შესაძლებელია, რომ ერთი ერისთავთ-ერისთავის „ჭელი“ უფრო საპატიო ყოფილიყო ვიდრე მეორისა. მაგრამ წყაროები არ იძლევიან იმის საშუალებას რომ ვამტკიცოთ – მეფეთა ადგილზე შეწყალებულ ერისთავთ-ერისთავებს რეალურად უფრო მეტი უფლებები ჰქონდათ ვიდრე „ჩვეულებრივ“ ერისთავთ-ერისთავებს. წყაროებიდან არ ჩანს რომ გუზან ტაოელს უფრო მეტი უფლებები ჰქონდა, ვიდრე, ვთქვათ რატი სურამელს (თავი რომ დავანებოთ თავად გუზანის ერისთავობის საკითხს).

მესამე – არსებობდა კი XII საუკუნეში სამოქალაქოს საერისთავო და მისი ერისთავთ-ერისთავი? ერთადერთი წყარო, რომელიც ასახელებს სამოქალაქოს საერისთავოს არის ვახუშტი ბატონიშვილი, რომლის მიხედვითაც, ლეონ II-მ მერვე ერისთავი „დასუა ქუთათისს ვაკისა, ოკრიბისა და ხანის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყლის დასავლეთისა გურიამდე და რიონის დასავლით ცხენის წყლამდე" (31;796). მთელი XI-XIII საუკუნეების მანძილზე არც ერთი წყარო არ ასახელებს სამოქალაქოს ერისთავს. არც ერთი წყაროთი არ დასტურდება სამოქალაქოს საერისთავოს არსებობა. წარმოუდგენელია სამოქალაქოში მჯდარიყო ერისთავთ-ერისთავი, მით უმეტეს ისეთი უფლებებით, როგორსაც მას თ. ბერაძე მიაწერს და ის არც ერთხელ, სამი საუკუნის მანძილზე, წყაროებში ნახსენები არ იყოს. მას „ისტორიანი და აზმანის" ავტორი მაინც ხომ მოიხსენიებდა, როდესაც იგი თამარის დროინდელ ყველა ერისთავთ-ერისთავს ასახელებს. სამოქალაქო არ იყო საერისთავო „ქუეყანა" და, ცხადია, მას არც ერისთავთ-ერისთავი ეყოლებოდა. აქედან გამომდინარე, ვერც ვარდან დადიანს მივიჩნევთ სამოქალაქოს ერისთავთ-ერისთავად. ვარდან დადიანის ერისთავობა წყაროებით არ დასტურდება.

ჩვენ ი. ანთელავას იმ მოსაზრებას ვიზიარებთ, რომ ე.წ. „უგვაროთა" გადაყენება; ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა; გიორგი რუსის ჯერ საქართველოში ჩამოყვანა, ხოლო შემდგომ მის მხარდასაჭერად აჯანყების მოწყობა, ერთი და იგივე პოლიტიკური ჯგუფის მოქმედების სხვადასხვა ეტაპებს წარმოადგენდა (4;177-207). ვარდან დადიანიც ამ ჯგუფის წევრი იყო. ჩვენი აზრით, ყუთლუ-არსლანის დასთან მოლაპარაკების დროს, შესაძლოა შეთანხმდნენ, რომ თავად ყუთლუ-არსლანი აქტიურ მოღვაწეობას შეწყვეტდა და სამაგიეროდ, მის მომხრეებს გარკვეულ თანამდებობებზე დანიშნავდნენ. ყუთლუს ერთ-ერთი მომხრე, ვარდანი მსახურთუხუცესი გახდა.

სწორედ ვარდანი იყო გიორგი რუსის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მხარდამჭერი. მემატიანე წერს: „ვარდან დადიანი, მსახურთუხუცესი, ლიხთ-აქით პატრონი ორბეთის და კაენისა, ლიხთ-იქით ნიკოფსამდის უცილობლად ქონებასა და თვით ქვეშისა ციხესა მყოფი, მაგარსა და მტერთაგან უვნებელსა. ესე მცირედისა რასმე წავიდა და მივიდა გეგუთს. რეცა პატრონისა წადილითა შეყარა ყოველი სვანეთი და აფხაზეთი, საეგროი, გურია, სამოქალაქო, რაჭა, თაკვერი და არ-

გვეთი. მომრთველმან სანიგთა და ქეშიგთამან აფიცა რუსი-
სა გამეფებისა და მისის მეფე ყოფისათვის დიდებულნი და
ლაშქარნი ქვეყანისანი". (30;48-49). მართალია, ისტორიკოსი
აღნიშნავს, ვარდანმა დასავლეთ საქართველოს ფეოდალები
მოტყუებით შეკრიბაო, მაგრამ ეს მოსაზრება სწორი არ უნ-
და იყოს. მეფის მომხრე მემატიანე ცდილობს ამბოხებულთა
სიმრავლე ვარდან დადიანის ტყუილს დააბრალოს. დავუშ-
ვათ, რომ დასავლეთ საქართველოს ფეოდალები ვარდანმა
მართლაც მოტყუებით შეკრიბა, ვითომდა მეფის ბრძანებით.
შეკრებისა და გეგუთში გიორგი რუსის მეფედ კურთხევის
შემდეგ, ხომ ყველასათვის ცხადი უნდა გამხდარიყო ვარდან
დადიანის განზრახვა. მიუხედავად ამისა, დასავლეთ საქარ-
თველოს დიდებულები არა თუ არ დაიშალნენ, არამედ პირი-
ქით, აქტიურ მოქმედებაზე გადავიდნენ. ვარდან დადიანის
მიერ შეკრებილმა ფეოდალებმა სვანეთიდან, აფხაზეთიდან,
ოდიშიდან, გურიიდან, იმერეთიდან, რაჭიდან და თაკვერი-
დან თავიდანვე იცოდნენ თუ რის გამო იბარებდა მათ მსა-
ხურთუხუცესი (რა თქმა უნდა, თეორიულად გამორიცხული
არაა, რომ ზოგიერთებმა მართლაც არ იცოდნენ რა ხდებო-
და). ამბოხებულთა სამხედრო ძალა ორად გაიყო და „ნახე-
ვართა, დადიანთა წინაძღომითა, გარდაიარეს რკინისჯვარი
და ჩავიდეს ციხისჯვარს და დაწვეს ქალაქი ოძრხე" (30;51).
მიუხედავად იმისა, რომ ამბოხებულებს აქ ბოცო ჯაყელი შე-
უერთდათ, თამარ მეფის მომხრეებმა მაინც შეძლეს მათი
დამარცხება.

თამარ მეფის ისტორიკოსის მიხედვით, აჯანყების მონა-
წილეები მეფემ შეიწყალა. მემატიანე წერს: „მოწყალებისათ-
ვის კმა გეყავ დადიანი ვარდან, გუზან, რომელი თვალმრუდე
ოდენ ყვეს, ბოცოს ძე ბოცო და ამათნი მიმდგომნი დიდე-
ბულნი და აზნაურნი, რომელნი ჩანან შეწყალებულნი"
(30;81). ეს მოწყალება იმას გულისხმობდა, რომ აჯანყების
მთავარი ინიციატორები ფიზიკურად არ დაუსჯიათ. მათ თა-
ნამდებობები და სამფლობელოები ჩამოერთვათ. მსახურთუ-
ხუცესობა და დასავლეთ საქართველოს სპასალარობა უნდა
დაეკარგა ვარდან დადიანს. მასვე უნდა ჩამორთმეოდა ქვე-

შის, ორბეთისა და კაენის ციხეები. თუმცა, როგორც ჩანს, აჯანყების სხვა „რიგით“ მონაწილე ფეოდალებს თანამდებობები შეუნარჩუნდათ. ყოველ შემთხვევაში, დადიანები, ვარდანისძეები, კახაბერისძეები აჯანყებამდეც შესაბამისად ოდიშის, სვანთა და რაჭის ერისთავები იყვნენ და აჯანყების შემდეგაც.

შ. მესხია ვარდან I-ის ძედ იმ ივანეს მიიჩნევდა, რომელიც გიორგი რუსის აჯანყების დროს გაგის პატრონი იყო (20;118). მემატიანე წერს, „ივანე ვარდანის ძე, პატრონი გაგისა, მაყა პატრონი კაიწონისა (კაენი თვით ვარდანისი იყო)“ (30;51). ივანე შესაძლოა ვარდანისძეა გვარსახელით, ანდა მამის სახელით. ეს მხოლოდ ვარაუდის საკითხია. გვარსახელით ვარდანისძეობა ჩვენ ნაკლებად სარწმუნოდ მიგვაჩნია. XII საუკუნის 80-90-იანი წლების მიჯნაზე, ჩვენ არ ვიცით სხვა ვარდანი, გარდა მსახურთუხუცეს ვარდან დადიანისა (თეორიულად და პრაქტიკულადაც, რა თქმა უნდა, შესაძლებელია, რომ იყო სხვა ვარდანიც, რომელიც წყაროებში არ მოიხსენიება და სწორედ მისი ძე იყო გაგის პატრონი ივანე). იმ დროს, როდესაც ვარდანი ლიხს აქეთ ფლობდა ორბეთის, კაენისა და ქვეშის ციხეებს, სრულიად შესაძლებელია, რომ მისი შვილი გაგის პატრონი ყოფილიყო.

ი. ანთელავა ვარდანი I-ის ძედ მიიჩნევდა ცოტნე დადიანს (3;15-17). თავის დროზე ეს მოსაზრება ჩვენც გავიზიარეთ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ თვალსაზრისის დამადასტურებელი პირდაპირი ცნობები წყაროებში არ მოიპოვება. თანამედროვენი არიან ცოტნე და ბედან II დადიანები. ბედან II-ის მამა, ჯუანშერი სავარაუდოდ თამარ მეფის თანამედროვე ბედან I-ის შვილი იყო. თავის მხრივ, ბედან I ვარდან დადიანის თანამედროვე, ხოლო ჩვენი აზრით, მისი ძმა იყო. რა ნათესაური კავშირი არსებობდა ბედან I-სა და ვარდან I-ს შორის, ისევე როგორც ვარდან I-სა და ცოტნეს შორის, მხოლოდ ვარაუდის სფეროს განეკუთვნება. წყაროებში არანაირი მინიშნებაც კი არ არის, რომ ცოტნე და ბედან II ძმები ან თუნდაც ბიძაშვილები იყვნენ (მართალია, მემატიანეს თავისულად შეეძლო ეს ნათესაური კავშირი არ აღენიშ-

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნა. თუმცა უმეტეს შემთხვევაში წყაროები ყურადღებას ამახვილებენ გამოჩენილი პიროვნებების ნათესაურ კავშირებზე). მაშინაც კი, როდესაც ეს ორი პიროვნება ერთდროულად მოიხსენიება. ი. ანთელავა მართალია, როდესაც დადიანთა ორ შტოზე საუბრობს და ბედან II-სა და ცოტნეს სხვადასხვა შტოს წარმომადგენლებად მიიჩნევს. რადგან ცოტნე ბედან I-ის შთამომავალი არ იყო, ის შეიძლება ვარდანის შთამომავლად მივიჩნიოთ. ცოტნე, ვარდანის შვილიშვილი და ივანეს ძე ხომ არ იყო? ჩვენი აზრით, ამგვარი ვარაუდისათვის გარკვეული საფუძველი არსებობს, ხოლო მისი გაზიარება წყაროს მონაცემების ინტერპრეტაციაზეა დამოკიდებული.

ცოტნე დადიანი XIII საუკუნის 20-იან წლებში ჩნდება ასპარეზზე. კერძოდ, 1226 წლისთვის, როდესაც ჯალალედინის წინააღმდეგ ბოლნისთან გამართულ ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა. მემატიანე წერს, რომ რუსუდან მეფემ „მოუწოდა ყოველთა სპათა თვისთა, იმერთა და ამერთა, შანშეს მანდატურთუხუცესსა, ავაგს ამირსპასალარსა, ვარამს მსახურთუხუცესსა, ჰერ-კახთა, სომხითართა, ჯავახთა, მესხთა ტაოელთა, დადიანსა ცოტნეს კაცსა წარჩინებულსა და სათნოებიანსა, აფხაზთა, ჯიქთა და ყოველსა იმერსა სამეფოსა“ (30;182). 1242 წელს, ცოტნე იმ დიდებულთა შორის იყო, რომლებიც დასავლეთ საქართველოდან თბილისში წამოსულ რუსუდანს წამოყვნენ – „მეფემან რუსუდან თანა წარიტანნა ყოველნი მთავარინი ლიხთ იმერელნი, დადიანი ცოტნე, კაცი პატივოსანი და სათნოებიანი და ბრძოლათა შინა სახელოვანი, ბედანი, რაჭის ერისთავი... “ (30;195). როდესაც მონღოლებმა საქართველო დუმნებად დაყვეს, დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ დუმნისთავად ცოტნე დაინიშნა. ჩვენს ხელთ არსებული წყაროების მონაცემებს თუ დავეყრდნობით, ცოტნეს, დუმნისთავობის გარდა, რაიმე სხვა ოფიციალური თანამდებობა არ ჰქონია. დაახლოებით 1246 წლისათვის, კოხტასთავს შეიკრიბნენ: ეგარსლან ბაკურცისელი, ცოტნე დადიანი, ვარამ გაგელი, ყვარყვარე ჯაყელი, შოთა კუპრი, თორღვა პანკელი, სარგის თმოგველი, რაჭის ერის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი და სხვა ქართველი დიდებულები. მათი მიზანი მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყების მოწყობა იყო: „დაამტკიცეს ომი და დადვეს პაემანი ქართლს შეკრებისა და განიყარნეს. უშორეს მყოფნი აფხაზნი, დადიანი ცოტნე და ბედანი, კაცი კეთილი და სრული საღმრთოთა და საკაცობოთა და რაჭის ერისთავი – ესენი ყოველნი წარვიდეს კაზმად. ვითარ ესმა თათართა ერთგან შეკრება ქართველთა წარმოვიდეს ... და მივიდეს კოხტასთავს“. მონღოლებმა იქ მყოფი ქართველები შეიპყრეს და ანისში წაიყვანეს. მონღოლთა კითხვაზე – „რა არს შეკრება თქვენი, უკეთუ არა იქმთ განდგომილებასა?“, ქართველებმა უპასუხეს, რომ მათი შეკრების მიზეზი ხარკის უკეთ აკრეფის საკითხის მოგვარება იყო. მონღოლთა ნოინმა ქართველთა პასუხი არ დაიჯერა და „ბრძანა განძარცვა ყოველთა, მხართა შეკვრა ყოველთა, სიცხესა შინა შიშველთა მოედანთა ზედა დასხდომა. და ყოველთა დღეთა ჰკითხვიდის მიზეზსა შეკრებისასა და უკეთუ არა აღიარონ ჭეშმარიტი, სიკვდილსა მისცენ ყოველნი ესე ზემოხსენებულნი მთავარნი. ხოლო იგინი დაამტკიცებდეს, „რათა განვაჩინოთ ხარაჯა“. და ამას ჰყოფდეს მრავალ დღე, რამეთუ არა არწმუნებდეს. და ვითარ მოეახლა პაემანი, მივიდა დადიანიცა ცოტნე ლაშქრითა მათდა ადგილსა, რომელ არს რკინისჯვარი, შორის სამცხისა და ღადოსა. და ვითარ აუწყეს წარსხმა ყოველთა მთავართა საქართველოსათა ანისად და შეკრებულთა ყოფა სატანჯველთა შინა ვითარ ესმა, მწუხარე იქმნა უზომოდ და თვისად სიკვდილად და სირცხვილად შერაცხა საქმე იგი. და წარავლინა ლაშქარი თვისი და ორითა კაცითა წარვიდა ანისად, დამდები სულისა თვისისა და აღმსრულებელი მცნებისა უფლისასა, რომელი იტყვის – უფროს ამისსა სიყვარული არა არს, რათა დადვას კაცმან სული თვისი მოყვასისა თვისისათვის.“ ანისში მისულმა, „იხილა ცოტნე წარჩინებულნი, ესრეთ უპატიოდ მსხდომარენი და სიკვდილად განწირულნი, გარდახდა ჰუნისაგან და დააბნია სამოსელი თვისი, განშიშვლდა და შეიკრნა მხარნი და დაჯდა წარჩინებულთა თანა“. განცვიფრებულმა მონღოლმა მეომრებმა ნოინს აცნობეს, „ცოტნე დადიანი მოვიდა ორითა კაცითა და

განიძარცვა სამოსელი თვისი და შეკრული დაჯდა ქართველთა თანა". როდესაც ნოინმა ცოტნეს ანისში მისვლის მიზეზი ჰკითხა, დადიანმა მიუგო: „ჩვენ ყოველნი ამად შევიკრიბენით, რათა განვაგოთ ხარაჯა თქვენი და ბრძანება თქვენი აღვასრულოთ, ესე იყო შეკრება ჩვენი. აწ თქვენ ძვირისმოქმედთა თანა შეგვრაცხენით. და ამის ძლით მოვედი წინაშე თქვენსა, რათა გამოიკითხოთ და უკეთუ ღირსი რამე სიკვდილისა უქმნის, მეცა მათ თანა მოვკვდე, რამეთუ თვინიერ ჩემსა არარა უქმნიეს. უკეთუ ცხოვნდენ, მათ თანა ვიყო. და ვითარ ესმა ესე ცოტნესაგან ნოინთა, განკვირდეს სათნოებისათვის მისისა და თქვეს: ვინაითგან ნათესავნი ქართველთანი ესოდენ კეთილნი არიან და არა განცრუვდებიან, რომელ აფხაზეთითა მოვიდა კაცი, რათა დადვას სული თვისი მოყვარეთათვის და არა განცრუვნეს, ესრეთ განწირა თავი თვისი სიკვდიდ, არა არს სიცრუე მათ შინა და ამის ძლით უბრალოდ ვპოვებთ. ამისთვის განუტეოთ ყოველნი. რქვეს ცოტნეს: განდგომილება ვგონეთ თქვენი, ქართველთა და აწ ვინაითგან ჰყავ სათნოება კეთილი, ყოველთა ქართველთა შენ მოგანიჭებთ და შენდა მონდობილ ვართ. და განუშვეს ყოველნი ესე წარჩინებულნი" (30;215-217). ცოტნეს თავდადებამ და მოყვასისათვის თავგანწირვამ, ქართველი დიდებულები სიკვდილისაგან იხსნა.

ე. მეტრეველმა ცალკე გამოყო იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპების უძველეს ფენაში მოხსენიებული ცოტნე და მისი მეუღლე ნათელა. ჩვენ სრულიად ვეთანხმებით მოსაზრებას, რომ ამ შემთხვევაში საქმე ცოტნე I-თან გვაქვს (3;15-17).

როდესაც ჟამთააღმწერელი წერს – „უშორეს მყოფნი აფხაზნი, დადიანი ცოტნე და ბედანი, კაცი კეთილი და სრული საღმრთოთა და საკაცობოთა და რაჭის ერისთავი – ესენი ყოველნი წარვიდეს კაზმად", ჩვენი აზრით, ბედანი არის ოდიშის ერისთავი ბედან II. ის თამარის თანამედროვე ოდიშის ერისთავის ბედან I-ის შვილიშვილი იყო. ბედან I-ის ვაჟი, ჯუანშერი წყაროებში მხოლოდ ერთხელ ჩანს, ჟამთააღმწერელთან – „ეგრეთვე დადიანი ბედანი, ჯუანშერის ძე დადგა

ერთგულებასა ზედა რუსუდანის ძისასა“ (30;243). მართალია ჯუანშერი ერისთავად არ იხსენიება, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ერისთავები იყვნენ მისი მამა ბედან I და მისი ძე ბედან II, მართებული უნდა იყოს თ. ბერაძის აზრი, ჯუანშერის ერისთავობის შესახებ (9;160). ჯუანშერი შეიძლება XIII საუკუნის პირველი ნახევრის ოდიშის ერისთავად მივიჩნიოთ.

ჯუანშერის ვაჟი, ბედან II, წყაროებში პირველად 1242 წლის ამბების თხრობისას ჩნდება – „მეფემან რუსუდან თანა წარიტანა ყოველნი მთავარნი ლიხთ იმერელნი დადიანი ცოტნე, კაცი პატივოსანი და სათნოებიანი და ბრძოლათა შინა სახელოვანი, ბედანი, რაჭის ერისთავი, გურიელი და ყოველნი წარჩინებულნი.“ (30;195). ბედან II რამდენიმე ხატის წარწერაშიც მოიხსენიება: ხობის ღვთისმშობლის ხატის წარწერაში – „...მეოხ და მფარველ ეყავ გულისმოდგინედ მამკობსა ... ხატისა შენისს ერისთავთ-ერისთავსა, მანდატურთუხუცესსა ბედანსა დადიანსა და დიოფალ დიოფალსა ხუაშაქსა“ (16;141). ხობის მაცხოვრის ხატის წარწერაში – „...და მასვე პირველ შემამკობელსა ხატისა ამის შენისასა ნათელს თანა მარჯვენით შენსა მდგრმად დააწესე იგი და ძე მათი ვარდან დადიანი, მანდატურთუხუცესი ბედანი დადიანი და ცოლი მათი, ბეგაისა ქართლის ერისთავის ასული, ხუაშაქი და ძენი მათნი ერაშაჰრი, გიორგი და ივანე ... “ (16;139). მარტვილის ღვთიმსშობლის ხატის წარწერაში – „ ... ახლად მამკობი კნინთა მიერ, უღირსი მანდატურთუხუცესი ბედანი დადიანი და მეუღლე, ვითხოვთ, მე უღირსი ხუაშაქი, ქართლისა ერისთავისა ასული ძითურთ გიორგით და ივანეთი გვიოხენ ...“ (16;49). როგორც ვხედავთ, უფროსი ძე ერაშაჰრი ამ წარწერაში არ მოიხსენიება. „ჩანს უფროსი ვაჟი ერაშაჰრი ადრე გარდაიცვალა და ... ხატის წარწერაზე ბედანს მხოლოდ მეუღლითა და ორი შვილით ვხედავთ“ (9;159). ყველა ზემოთ მოტანილი ცნობებიდან ირკვევა, რომ ბედან II-ის მეუღლე, ხუაშაქი, ქართლის ერისთავთ-ერისთავისა და მსახურთუხუცესისი, გრიგოლ სურამელის ასული იყო. მათ სამი ძე ჰყავდათ: ერაშაჰრი, გიორგი, ივანე. ბედან II ოდიშის ერის-

თავობის გარდა, მანდატურთუხუცესის თანამდებობასაც ფლობდა. თუ ამას მის პიროვნულ თვისებებსაც დავუმატებთ გასაკვირი არ იქნება, რომ ის დასავლეთ საქართველოში დიდი გავლენით სარგებლობდა. ბედანი, დავით VI ნარინის ერთგული იყო. როდესაც აჯანყებულმა დავით ულუმ დასავლეთ საქართველოს შეაფარა თავი, „ეზრახნეს კახაბერისძესა რაჭის ერისთავსა კახაბერსა, ქუაბულისძეთა, ფარაჯანიანთა სარგისს, რათა ლაშას ძე დავით ყონ მეფედ. და იქმნა განდგომილება ლიხთ იმერით და რომელნიმე წარმოუდგეს ლაშას ძესა და რომელნიმე – რუსუდანის ძესა. ეგრეთვე დადიანი ბედანი, ჯუანშერის ძე დადგა ერთგულებასა ზედა რუსუდანის ძისასა, რამეთუ იყო ესე ბედანი კაცი წარმატებული ყოვლითა ზნითა, უხვი უმეტეს ყოველთა კაცთა, სრული გონიერებითა. ამან დააწყო ოდიში, რომელ მპარავი და ძვირისმოქმედი არა იპოვებოდა“ (30;243). როგორც ვხედავთ, დასავლეთ საქართველოში დავით ულუს გადასვლამ ზოგიერთ ფეოდალს დავით ნარინის ტახტიდან ჩამოგდების სურვული გაუჩინა. ბედან დადიანის პოზიცია გადამწყვეტი აღმოჩნდა და დავით ნარინმა მეფობა შეინარჩუნა. როგორც ჩანს, ბედანმა მთელი რიგი ღონისძიებები გაატარა, რომელთა შედეგადაც ოდიშში წესრიგი და სიმშვიდე აღდგა.

ჟამთააღმწერელი ბედან II-ს უკანასკნელად XIII საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში იხსენიებს (30;243). შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ის XIII საუკუნის 60-იან წლებში გარდაიცვალა და ერისთავი მისი ძე, გიორგი გახდა. ეს ნათლად ჩანს წალენჯიხის ხატის წარწერიდან – „მონდობილნი შენნი მანდატურთუხუცესი დადიანი ბედანი და მე, ძე მათი მეორედ მამკობი დადიანი გიორგი, და მე დადიანი შერგილ და მეუღლე ჩემი ნათელ მესამედ მამკობნი ხატისა“ (16;227). ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით გიორგი 1323 წელს გარდაიცვალა (31;901). მსგავსი თვალსაზრისი აქვს თ. ბერაძეს, რომელიც 1323 წელს გარდაცვლილ გიორგი დადიანს, ბედან II-ის ძედ მიიჩნევს.

სანამ დაწვრილებით განვიხილავდეთ საკითხს, თუ რომელი გიორგი დადიანი გარდაიცვალა 1323 წელს, გვინდა და-

დიანთა მეორე შტოს წარმომადგენლებზე, კერძოდ, ცოტნე დადიანის შთამომავლებზე ვისაუბროთ. ი. ანთელავას აზრით, ცოტნეს ძე იყო ვარდან II, რომელიც თავის დედასთან, ნათელასთან ერთად ხობის მაცხოვრის ხატის წარწერაში მოიხსენიება – „ ... და მასვე პირველ შემამკობელსა ხატისა ამის შენისასა ნათელს თანა მარჯვენით შენსა მდგრმად დააწესე იგი და ძე მათი ვარდან დადიანი". მკვლევარის აზრით, წარწერის გაკეთების მომენტში ცოტნე უკვე გარდაცვლილია და ამიტომ არ მოიხსენიება (3;15-17). თუმცა აქ რამდენემე კითხვა ჩნდება: რატომ არ ხდება გარდაცვლილის სულის მოხსენიება? არის კი ხატის წარწერაში მოხსენიებული ნათელა ცოტნე I-ს მეუღლე? ამ კითხვებზე ზუსტი და დამაჯერებელი პასუხების გაცემა ძნელია. ი. ანთელავას მოსაზრება თავის მხრივ ლოგიკურია.

თუ მეცნიერის მოსაზრებას გავიზიარებთ, მაშინ ვარდან II-ის ძედ შერგილი უნდა მივიჩნიოთ. თავად ვარდან II, როგორც ჩანს არავითარ ოფიციალურ თანამდებობას არ ფლობდა. მისი ძე შერგილი და შვილიშვილი ცოტნე II კი უკვე ოდიშის ერისთავები იყვნენ (თუ ვარდან II-ის ცოტნე I-ის ძედ მიჩნევა მაინც გარკვეულწილად სადავოა, შერგილი და ცოტნე II, ნამდვილად ცოტნე I-ის შთამომავლები უნდა იყვნენ). შერგილი ერისთავთ-ერისთავის ტიტულით მოიხსენიება იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპში:„ერისთავთ-ერისთავის შერგილ დადიანის" (21;90 აღაპი 102). ხობის ფრესკულ წარწერაში: „ერისთავთ-ერისთავი შერგილ დადიანი, დედოფალთ დედოფალი ნათელა, ძე მათი ცოტნე" (16;134). ხობის მაცხოვრის ხატის წარწერაში – „ხატო არსებისაო, უცვალებელ, მეოხ და მფარველ მექმენით აქა და საუკუნესა ერისთავთ-ერისთავი დადიანი შერგირ და მეუღლე ჩემით დეოფალ დეოფალი ნათელით, ძითურთ ჩემით ცოტნეთურთ" (16;153). ერისთავი იყო შერგილის ვაჟი ცოტნეც. ამას ადასტურებს იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპი – „მანდატურთუხუცესისა და ერისთავთ-ერისთავისა ცოტნე დადიანისა" (21;101 აღაპი 247).

თუ გავიზიარებთ თ. ბერაძის აზრს, რომ ბედან II-ის ძე

გიორგი 1323 წელს გარდაიცვალა, მაშინ – XIII საუკუნის შუა ხანებიდან ოდიშის ერისთავები არიან ბედან II, გიორგი და შემდეგ მისი ძე მამია. ასეთ შემთხვევაში იბადება კითხვა, თუ რომელი მხარის ერისთავები არიან შერგილი და ცოტნე II? თ. ბერაძის აზრით: „გამოდის, რომ XII-XIII სს. დადიანის გვარეულობის რომელიმე წარმომადგენლის ერისთავთ-ერისთავობა სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ის უსათუოდ ოდიშის ერისთავიც იქნებოდა“ (9;161).

ჩვენი აზრით, თ. ბერაძის მოსაზრება არ უნდა იყოს მართებული. შერგილ დადიანის მოხსენიება ხობში და წალენჯიხაში სწორედ იმის მაჩვენებელია, რომ შერგილი ოდიშის ერისთავია. კიდევ ერთხელ მოვიტანთ წალენჯიხის ხატის წარწერას, რომელიც უაღრესად მნიშვნელოვანია ამ საკითხის გადასაწყვეტად: „მონდობილნი შენნი: მანდატურთუხუცესი დადიანი ბედანი და მე ძე მათი მეორედ მამკობი დადიანი გიორგი და მე დადიანი შერგილ ... მესამედ მამკობნი ხატისა“ (16;227). წარწერიდან ცხადია, რომ ხატი მეორედ ბედან II-ის ძემ, გიორგიმ შეამკო. გიორგის მერე ხატი შერგილმა შეამკო. ხატის წარწერაში მოხსენიებული გიორგი, რომ 1323 წელს გარდაცვლილი გიორგი იყოს, მაშინ მესამედ ხატი მის ძეს მამიას უნდა შეემკო. მაგრამ ეს ასე არ არის. ხატს მესამედ შერგილი ამკობს. ე.ი. გიორგის შემდეგ ხატი შერგილის ხელში აღმოჩნდა. ეს კი ვერ მოხდებოდა, გიორგი რომ 1323 წელს გარდაცვლილიყო და ოდიშის ერისთავობა მამიას ხელში გადასულიყო. თავად ის ფაქტი, რომ შერგილს ოდიშის ერისთავების ნაქონი ხატი აქვს, მის ოდიშის ერისთავობას ადასტურებს. ჩვენი აზრით, ბედან II-ის ძე გიორგი და 1323 წელს გარდაცვლილი გიორგი სხვადასხვა პირები არიან.

ცხადია, რომ ბედან II-ის მერე ერისთავი მისი ძე გიორგი გახდა. გიორგის შემდეგ ერისთავობა შერგილის ხელში გადავიდა. შერგილი გიორგის ძე არაა. ეს წალენჯიხის ხატის წარწერიდან ჩანს. შერგილი რომ გიორგის ძე იყოს, იგი ამას ხატის წარწერაში აღნიშნავდა, როგორც თავად გიორგი აღნიშნავს, რომ ბედანის ძეა. ე.ი. გიორგის გარდაცვალების შემდეგ ერისთავობა დადიანების მეორე შტოს ხელში გადა-

ვიდა. თუ რატომ მოხდა ეს, ძნელი სათქმელია. წყაროები ამ-ის შესახებ არაფერს იუწყებიან. შესაძლოა ბედან II-ის ძეებს მემკვიდრეები აღარ დარჩათ.

შერგილის მერე ერისთავი მისი ძე ცოტნე იყო. საინტერესოა, რომ ცოტნე ერისთავთ-ერისთავობასთან ერთად მანდატურთუხუცესის თანამდებობასაც ფლობდა, როგორც თავის დროზე ბედან II. როგორც ჩანს, ვარდან დადიანის შტომ ერისთავობის პარალელურად, მანდატურთუხუცესობაც მიიღო. შესაძლოა გვევარაუდა, რომ შერგილიც ფლობდა მანდატურთუხუცესობას. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ იგი ამ ტიტულით არც ერთ წყაროში არ მოიხსენიება. სამწუხაროდ, წყაროებში არ არის დაცული ცნობები, რომლებიც საშუალებას მოგვცემდა შერგილისა და ცოტნე II-ის მოღვაწეობის შესახებ უფრო დაწვრილებით გვესაუბრა. ისინი XIII საუკუნის მიწურულისა და XIV საუკუნის დასაწყისის მოღვაწეებად უნდა მივიჩნიოთ. ჩვენი აზრით, სწორედ ცოტნე II-ის ძე იყო ის გიორგი, რომელიც ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით 1323 წელს გარდაიცვალა.

ვარდანისძეები

ვარდანისძეები საუკუნეების მანძილზე სვანთა ერისთავები იყვნენ. წყაროებში საკმაოდ ცოტა ცნობებია დაცული ამ საგვარეულოს შესახებ, რაც ვარდანისძეთა გაბმული ისტორიის აღდგენის საშუალებას არ იძლევა.

ზუსტი დროის განსაზღვრა, თუ როდის გახდნენ ვარდანისძეები სვანთა ერისთავები, ძალიან ძნელია. გაურკვეველია, თუ რომელ საგვარეულოს ეკუთვნიან ჩვაბიანის ეკლესიის X საუკუნის II ნახევრის წარწერაში მოხსენიებული ვახტანგ და ივანე ერისთავები: „წმიდაო მაცხოვარო შეიწყალე ვახდანგ ერისთავი. მაშინ დავწერეთ ოდეს იოვანე ერისთავი სულკურთხეული გარდაიცვალა“ (25;400-401). მხოლოდ ერთი რამის აღნიშვნა შეიძლება, სახელი ივანე რამდენჯერმე დასტურდება ვარდანისძეთა საგვარეულოში. რა

თქმა უნდა, ეს ჯერ კიდევ არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ვამტკიცოთ ჩვაბიანის ეკლესიის წარწერის ივანე ერისთავის ვარდანისძეობა. ქართულ ისტორიოგრაფიაში ფართოდ არის გავრცელებული მოსაზრება ვარდანისძეთა მარუშიანთა საგვარეულოდან წარმომავლობის შესახებ. „ისტორიული წყაროების მიხედვით ვარდანისძეთა გვარის პირველი წარმომადგენელი და მისი დამფუძნებელი ჩანს სვანთა ერისთავი ვარდანი, რომელიც მეფე გიორგი II-ის დროს მოღვაწეობდა. სხვა დიდ ფეოდალებთან ერთად ისიც განუდგა მეფეს" (32;299) ვ. ცისკარიშვილი აღნიშნავს, „მარუშიანები რომ იგივე ვარდანისძეები არიან... ამას ადასტურებს აგრეთვე ლივადის წარწერაში მოხსენიებული ზვიადის შვილის სახელი ვარდა ანუ ვარდანი" (35;15). ზვიადი ნამდვილად მარუშიანთა საგვარეულოს წარმომადგენელი იყო.

ჩვენი აზრით, შესაძლოა ვარდანისძეთა საგვარეულო უშუალოდ მარუშიანებისაგან კი არ მომდინარეობდა, არამედ ამ ორივე საგვარეულოს ერთი საერთო წინაპარი ჰყავდა.

ვარდანისძეთა გვარის დამფუძნებელს ცხადია ვარდანი უნდა რქმეოდა და ის შეიძლება სვანთა ერისთავიც იყო. მაგრამ ჩვენთვის გაუგებარია, რატომ უნდა მივიჩნიოთ ასეთად გიორგი II-ის თანამედროვე ვარდანი. ნუთუ ამისათვის საკმარისია ის, რომ მას ვარდანი ჰქვია და სვანთა ერისთავია? ანალოგიური მიდგომით ვარდანისძეთა ფუძემდებლად თავისუფლად შეიძლება მივიჩნიოთ ლაბეჭინის ეკლესიის ხატის წარწერის ვარდანი: „წმიდაო ღმრთისმშობელო შეიწყალე ერისთავი ვარდანი" (6;15) მართალია ექ. თაყაიშვილი ხატს XIV საუკუნით ათარიღებდა, მაგრამ გ. ჩუბინაშვილისა და მ. ახალაშვილის აზრით, ხატი XI საუკუნისაა (6;15). წყაროთა სიმცირის გამო, იმ პირის ზუსტი დადგენა, ვინც ვარდანისძეთა საგვარეულოს ფუძემდებელი იყო, ძალიან ძნელია. თუმცა გარკვეული მოსაზრების გამოთქმისათვის საკმარისი მასალები არსებობს.

შ. მესხიამ ლაბეჭინის ხატის წარწერაში მოხსენიებული ვარდანი, ფაყის ხატის წარწერის ვარდანთან გააიგივა

(20;124). ფაყის წარწერა, რომელიც X-XI საუკუნეებით თარიღდება, გვაუწყებს: „ვინებე მე მონამან მათმან ვარდან, სულკეთილისა ერისთავთ-ერისთავისა ბაკურის ძემან შექმნად ამის ხატისად ...“ (6;16). ამრიგად X საუკუნის ბოლოსა და XI საუკუნის დასაწყისის სვანთა ერისთავებად შეიძლება ბაკური და მისი ძე ვარდანი მივიჩნიოთ (ამათზე უფრო ადრე, X საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწეობდნენ ჩვაბიანის წარწერის ერისთავები: იოვანე და ვახდანგი. რა კავშირი აქვს ამ უკანასკნელებთან ბაკურ ერისთავს, გაურკვეველია).

ჩვენთვის საინტერესოა „მატიანე ქართლისაჲს“ შემდეგი ცნობა: „გამოიტყუვნა (ლიპარიტ IV-მ –მ.ბ.) ანისით დედოფლისაგან აბუსერი ერისთავი არტანუჯისა ...და ივანე ერისთავი, ივანე დადიანი და გუარამ გოდერძის ძე ბეჭის ციხის პატრონი“ (5; 300). ეს ცნობა XI საუკუნისის 40-იან წლებს ეხება. ჩვენი აზრით, ივანე ერისთავი ვარდანისძეა (8;216).

თუ გავიზიარებთ ივანე ერისთავის ჩვენებურ იდენტიფიკაციას, მაშინ მის შემდგომ ერისთავად გიორგი II-ის თანამედროვე ვარდანი უნდა მივიჩნიოთ. ამ უკანასკნელმა, როგორც ცნობილია, ნიანია ქუაბულისძესა და ივანე ბაღვაშთან ერთად „აუშალა ქუეყანა“ მეფეს. შ. მესხიამ ეს ვარდანი ჯუმათის ხატს წარწერის ვარდანთან გააიგივა (20;124). ჯუმათის წმინდა გიორგის ხატის წარწერაში ერისთავთ-ერისთავი ვარდან ვარდანისძე იხსენიება (20;218). თუ გავიზიარებთ შ. მესხიას აზრს, მაშინ გვიჩნდება დამატებითი არგუმენტი იმის დასამტკიცებლად, რომ გიორგი II-ის თანამედროვე ვარდანი არ არის ვარდანისძეთა გვარის ფუძემდებელი. გიორგი II-ის თანამედროვე ვარდანი რომ იყოს ვარდანისძეთა საგვარეულოს დამფუძნებელი, ის წარწერაში არ იქნებოდა მოხსენიებული როგორც ვარდანისძე. ვარდანისძეებად მხოლოდ მისი შთამომავლები იწოდებოდნენ. ვარდანის მოხსენიება ვარდანისძედ სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ ეს გვარი ვარდანამდეც არსებობდა. ვ. სილოგავას აზრით, ბაკურ ერისთავის ძე ვარდანი „ვარდანისძეთა გვარისათვის სახელის დამდებად თუ არა, ამ საგვარეულოს წარმომადგენლად მაინც უნდა ვიგულისხმოთ“ (25;181). შ. მესხიაც ვარდანისძე-

თა საგვარეულოს მიაკუთვნებდა ბაკურ ერისთავის ძეს ვარ-
დანს (20;124). ჩვენც ვთვლით, რომ ბაკურ ერისთავის ძე,
ვარდანი, ვარდანისძეთა საგვარეულოს ფუძემდებლად უნდა
მივიჩნიოთ. სვანეთის ერისთავების სია კი XI საუკუნეში შე-
იძლება შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ: ბაკური, მისი ძე
ვარდანი (I), ვარდანის ძე ივანე და მისი ვაჟი ვარდან II. სწო-
რედ ეს უკანასკნელია გიორგი II-ის თანამედროვე.

1073 წელს ვარდან II, ნიანია ქუაბულისძესა და ივანე
ლიპარიტის ძე ბაღვაშთან ერთად გიორგი II-ს აუჯანყდა:
„ნიანია ქუაბულისძემან და ივანე ლიპარიტის ძემან და ვარ-
დან სვანთა ერისთავმან რეცა თუ იკლეს რამე სიყრმით გი-
ორგი მეფისათ და აუშალეს ქვეყანა: ივანე მოირთნა კახნი
და დადგა ქსნის პირსა და ნიანია წარუღო ქუთათისისა სა-
ჭურჭლე და შედგა ქუთათისს შიგა და ვარდან გაადგინნა
სვანნი ავისა მოხარკულნი, დაარბიეს და ამოსწყვიდეს საეგ-
რო“. (29;323). სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ მიმარ-
თული ამ გამოსვლის ინიციატორი, ჩვენი აზრით, ივანე ბაღ-
ვაში უნდა ყოფილიყო. ამ დროისათვის, ბაგრატიონთა და
ბაღვაშთა დაპირისპირებას უკვე ხანგრძლივი ისტორია
ჰქონდა და ივანე ლიპარიტის ძის ქმედება სრულიად გასაგე-
ბია. უცნობია, თუ რამ გამოიწვია ვარდან სვანთა ერისთავის
მონაწილეობა აჯანყებაში. ალბათ საქმე გვაქვს ფეოდალური
სისტემისათვის დამახასიათებელ მოვლენასთან – ფეოდალ-
მა უბრალოდ გადაწყვიტა შექმნილი სიტუაციით ესარგებლა
და თავისი ძალაუფლება განემტკიცებინა. ყოველ შემთხვე-
ვაში, არც მანამდე და არც მერე ვარდანისძეთა და ბაღვაშთა
„კოალიცია“ სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ არ შექმნი-
ლა. 1073 წლის აჯანყება ერთადერთი შემთხვევაა ამ საგვა-
რეულოების წარმომადგენელთა ერთობლივი მოქმედებისა
მეფის წინააღმდეგ. თუმცა ვარდანისძეები ამის შემდეგ კი-
დევ ერთხელ გამოვლენ სამეფო კარის წინააღმდეგ და ამ გა-
მოსვლას მათი ერისთავობა შეეწირება (ეს 1362 წელს მოხდა,
ბაგრატ V-ის დროს). როგორც ცნობილია, გიორგი II ამბოხე-
ბულთა წინააღმდეგ ძალის გამოყენებას მოერიდა (ჩვენი აზ-
რით, ამას რამდენიმე მიზეზი შეიძლება ჰქონოდა: მეფის პი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როვნული ხასიათი, როცა ის უბრალოდ ერიდება ქართველთავე სისხლის ღვრას; მეფის მიერ ძალთა რეალური შეფასება, ანუ თავიდანვე ცხადი იყო განდგომილთა სამხედრო ძლიერება; თურქ-სელჩუკთა სახით უძლიერესი მტრის არსებობის პერიოდში შინაომის დაწყების უაზრობა და სხვ.). მეფემ გარკვეული ტერიტორიები უბოძა აჯანყებულ ფეოდალებს და ასე დააშოშმინა ისინი. ვარდან ვარდანისძეს ასკალანა (ქ. ჩხატარაიშვილის აზრით, გურიის სოფელი ასკანა) ებოძა.

ვარდან II-ის მერე ერისთავი მისი ძე ივანე (II) უნდა ყოფილიყო. ივანე მოიხსენიება, როგორც მესტიის ხატის წარწერაში – „მე იოვანე ვარდანისძემან სუანთა ერისთავმან და მეჭურჭლეთუხუცესმან ...“ (6;34), ასევე ლაბეჭინის ხატის წარწერაში – „მე ივანე ვარდანისძემან სუანთა ერისთავმან, მეჭურჭლეთუხეცესმან და პროტოსტრატორმან ...“ (6;32). ორივე ხატის წარწერა XII საუკუნით თარიღდება. ჩვენი აზრით, ივანე II XI საუკუნის ბოლოსა და XII საუკუნის დასაწყისის მოღვაწე იყო. ეს არის პირველი შემთხვევა ვარდანისძეთა საგვარეულოში, როდესაც სვანთა ერისთავობასთან ერთად, მათ ხელში ცენტრალური სამოხელეო აპარატის ერთ-ერთი უმაღლესი თანამდებობა – მეჭურჭლეთუხუცესობა აღმოჩნდა. როდის მიიღეს პირველად ვარდანისძეებმა მეჭურჭლეთუხუცესობა, ძნელი სათქმელია. ხომ არ უკავშირდება ამ თანამდებობის მიღება 1073 წლის ამბებს? შესაძლოა, გიორგი II-მ აჯანყებულ ვარდან II-ს ასკალანთან ერთად მეჭურჭლეთუხუცესობაც უბოძა.

წყაროების მიხედვით, ივანე II-ის შემდეგ სვანთა ერისთავად ბარამი ჩანს. ეს უკანასკნელი „ისტორიანი და აზმანში“ მოიხსენიება – „და ერისთავნი მის ჟამისანი ესენი იყვნეს: ბარამ ვარდანისძე სუანთა ერისთავი...“ (30;33). ბარამი თამარის თანამედროვეა და შესაბამისად XII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის მოღვაწედ უნდა მივიჩნიოთ. ბარამი, ივანე II-ის შვილი თუ არა შვილიშვილი მაინც უნდა იყოს. სამწუხაროდ, სვანთა ამ ერისთავის მოღვაწეობის შესახებაც კონკრეტული არაფერი არ ვიცით. როდესაც 1184 წელს თამარი

მეფედ აკურთხეს, „ისტორიანი და აზმანის“ მიხედვით, ხმლის „მოღებისა და დადების“ მეტად მნიშვნელოვან ცერემონიალში საღირისძეებთან და ამანელისძეებთან ერთად ვარდანისძეებიც მონაწილეობდნენ (30;26). ვარდანისძეთა საგვარეულოს რომელი კონკრეტული წარმომადგენელი მონაწილეობდა ამ ცერემონიალში, ძნელი სათქმელია, მაგრამ შესაძლოა, ეს ბარამი იყო.

ექ. თაყაიშვილი თავის ნაშრომში: „არქეოლოგიური მოგზაურობა ლეჩხუმ-სვანეთში“, ეყრდნობა რა მესტიის მაცხოვრის ეკლესიის მთავარანგელოზის ხატის წარწერას: „წმიდაო მიქაელ შეიწყალე ერისთავთ ერისთავი კახაბერი“, გამოთქვამს ვარაუდს, რომ კახაბერი შეიძლება თამარის დროინდელი მეჭურჭლეთუხუცესი – კახაბერ ვარდანისძე იყოს (15;288). თუმცა ექ. თაყაიშვილი იქვე შენიშნავს, „ხელობა ხატისა უფრო მე-14 საუკუნეს მოგვაგონებს ვიდრე მეთორმეტეს“. ჩვენი აზრით, კახაბერ ვარდანისძე სვანთა ერისთავი ვერ იქნებოდა, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მისთვის მეჭურჭლეთუხუცესობის ბოძების ჟამს, „ისტორიანი და აზმანი“ სვანთა ერისთავად ბარამ ვარდანისძეს ასახელებს (30;33). ერისთავთ-ერისთავი კახაბერი ალბათ მართლაც XIV საუკუნის მოღვაწე იყო და მისი მეჭურჭლეთუხუცეს კახაბერ ვარდანისძესთან გაიგივება საეჭვოა. რაც შეეხება თავად კახაბერ ვარდანისძეს, შ. მესხია მართებულად შენიშნავდა, რომ ვარდანისძეობა ყოველთვის გვარის აღმნიშვნელი არ არის. ზოგჯერ პიროვნება ვარდანის ძედ იმიტომ იწოდება, რომ მის მამას ვარდანი ერქვა. თუმცა ამ კონკრეტულ შემთხვევაში შ. მესხია სრულიად მართალი იყო, როდესაც მეჭურჭლეთუხუცესი კახაბერი სვანთა ერისთავების საგვარეულოს მიაკუთვნა. მეცნიერის აზრით, ის მეჭურჭლეთუხუცეს და პროტოსტრატორ ივანე II-ის შვილიშვილი იყო (20;127). ძნელი დასადგენია მისი ნათესაური კავშირი ბარამ ვარდანისძესთან. აქ მხოლოდ ვარაუდების გამოთქმა შეიძლება. კახაბერი და ბარამი შესაძლო ძმები იყვნენ (ან ბიძაშვილები). ცხადია, მეჭურჭლეთუხუცესობა უფრო დიდი თანამდებობა იყო ვიდრე სვანეთის ერისთავობა. აქედან გა-

მომდინარე კახაბერი უფროს ძმად (ან უფროსი შტოს წარმომადგენლად) უნდა მივიჩნიოთ. როგორც უკვე ვნახეთ, ივანე II ერთდროულად ფლობდა ორ თანამდებობას: მეჭურჭლეთუხუცესობასა და სვანთა ერისთავობას. მის შთამომავლობაში კი (ალბათ შვილებში) შესაძლო ეს თანამდებობები საგვარეულოს წარმომადგენელთა შორის განაწილდა. გამორიცხული არც ისაა, რომ კახაბერი და ბარამი მამა-შვილი არიან. კახაბერმა მეჭურჭლეთუხუცესობა დაახლოებით 1184 წელს მიიღო და 1185 წელს დაკარგა. მას შემდეგ რაც ეს თანამდებობა გიორგი რუსის ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ მომხრეს, აბულასანს გადაეცა.

სავარაუდოა, რომ ვარდანისძეთა საგვარეულოს წარმომადგენლები ქუთაისში დავით ნარინის გამეფებაშიც მონაწილეობდნენ – „ვითარ ცნეს აფხაზთა, სვანთა, დადიანთა, ბედიანმან, რაჭის ერისთავმან და სრულიად ლიხთ იმერთა, შემოკრბეს სიხარულითა დიდითა და და მეფე ყვეს დავით რუსუდანის ძე“ (30;229).

უცნობია ვარდანისძეთა პოზიცია XIII საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში, დასავლეთ საქართველოში წარმოქმნილი კონფლიქტის დროს, როდესაც ფეოდალთა ნაწილმა ტახტიდან დავით ნარინის ჩამოგდება განიზრახა. მემატიანის სიტყვებით მაშინ „სვანნი განიყვნეს ორად“ (30;243).

საინტერესოა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპი „სუანთ ერისთავისა ვარდანისძისა მსახურთუხეცესისა არიშიანისა“ (21;92 აღაპი 145). აღაპის შინაარსიდან ჩანს, რომ არიშიან ვარდანისძემ მონასტერს ათასხუთასი თეთრი შესწირა. ელ. მეტრეველის აზრით, აღაპი 1273-1301 წლებში უნდა იყოს გაჩენილი. ჩვენი აზრით, არიშიანი, XIII საუკუნის მეორე ნახევრისა და XIV საუკუნის დასაწყისის სვანთა ერისთავად უნდა მივიჩნიოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კახაბერისძეები

XI-XIII საუკუნეებში კახაბერისძეები რაჭის ერისთავები იყვნენ. ო. სოსელია ნიკორწმინდის ხატის XI საუკუნის დასაწყისის წარწერაზე დაყრდნობით ვარაუდობდა, რომ ხატის მოჭედვის დროს ერისთავია რატი, ძე კახაბერისა, რომელიც მესამე თაობის ერისთავია. აქედან გამომდინარე დასძენდა, რომ: „ძველი დროის რაჭის ერისთავები ბაღუაშთა საგვარეულოს ეკუთვნოდნენ ... კლდეკარის საერისთავოს დამაარსებელი ლიპარიტი და ძველი დროის რაჭის ერისთავები ერთი გვარისა იყვნენ“ (27;33-34). კახაბერისძეები რომ ბაღვაშთა საგვარეულოს განშტოებას წარმოადგენდნენ, ამას ჟამთააღმწერლის ცნობაც ადასტურებს – „ ... მოისპო ყოველი ნათესავი მისი, ბაღუაშთა კახაბერისძეთა“ (30;275). გასარკვევია თუ როდის გახდნენ კახაბერისძეები რაჭის ერისთავები. ო. სოსელიას მსჯელობიდან გამომდინარეობს, რომ X საუკუნის ბოლოს მაინც რაჭის ერისთავობა „ბაღუაშთა კახაბერისძეთა“ ხელშია. ამ საკითხის გადაწყვეტაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნიკორწმინდის ხატის წარწერას – „მე კახაბერ ყოფილმან კირილე, ძემან სულკურთხეულისა ერისთავთ-ერისთავის რატისმან, მოვჭედე ხატი ესე ჯაურცმის ნუგეშის მცემელად და ცოდვილისა და სადღეგრძელებლად ძისა ჩემისა ერისთავთ-ერისთავის, რაჭის ერისთავისა რატისად“ (42;595). ს. კაკაბაძემ ხატის წარწერა XI საუკუნის დასაწყისით დაათარიღა და მასში მოხსენიებული კახაბერი, ბაგრატ III-ის მიერ 988 წელს დატყვევებულ რატი ბაღვაშის შვილად მიიჩნია. მკვლევარის აზრით, კახაბერი რაჭის ერისთავთა პირველი წარმომადგენელია და გვარი კახაბერისძე სწორედ მისგან მომდინარეობს (19;105). ნიკორწმინდის ხატის წარწერას გ. ჩუბინაშვილი XI საუკუნით (42;595), ხოლო გ. ბოჭორიძე XI საუკუნის დასაწყისით ათარიღებს (14;292).

რა შეიძლება ითქვას ს. კაკაბაძის მოსაზრების შესახებ. ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ იმ აზრს, რომ გვარი კახაბერისძე ნიკორწმინდის ხატის წარწერაში მოხსენიებული კახაბერისაგან მომდინარეობს. რაც შეეხება იმას, თუ რომელი რატის

შვილია ის, აქ ჩვენ განსხვავებული აზრი გაგვაჩნია. თავის დროზე ვ. კოპალიანმა შეისწავლა კლდეკარის საერისთავოს საკითხი და მასთან დაკავშირებით ბაღვაშთა გენეალოგიაც. მკვლევარის მიერ დადგენილი გენეალოგიური სიიდან ირკვევა, რომ რატი I-ს ჰყავდა ერთი შვილი ლიპარიტ III (41;16). ამდენად ხატის წარწერის კახაბერი ვერ იქნება რატი I-ის ვაჟი. ჩვენი აზრით, კახაბერი არის არა შვილი რატის, არამედ შვილიშვილი ე.ი. ის ლიპარიტ III-ის ძე და ლიპარიტ IV-ის ძმა არის. ის რომ ლიპარიტ IV-ს ჰყავდა ძმა რატი, ნათლად ჩანს გელათის სახარების 1047 წლის მინაწერიდან – „ღირს ვიქმენ მე ლიპარიტ ერისთავთ-ერისთავი, სულკურხეულისა რატი ერისთავისა ძისა ლიპარიტის ძეჲ ლიპარიტ ... სალოცველად და მოსახსენებლად სულისა ძმათა ჩემთასა რატისა და ივანესი“ (22;191). ამრიგად, ჩვენი აზრით, ნიკორწმინდის ხატის წარწერაში მოხსენიებული კახაბერ-ყოფილი კირილეს მამა, რატი (I), ლიპარიტ III ბაღვაშის შვილია და რაჭის პირველი ერისთავია ბაღვაშთა საგვარეულოდან.

გასარკვევია, თუ როდის გახდა რატი რაჭის ერისთავი. გელათის სახარების მინაწერიდან ირკვევა, რომ 1047 წელს რატი უკვე გარდაცვლილია. ამაზე ის მიუთითებს, რომ ლიპარიტ IV თავისი ძმის სულის ხსენებაზე ლაპარაკობს – „...მოსახსენებლად სულისა...“ ამრიგად ცხადია, რომ რატის ერისთავობა 1047 წელზე ადრე უნდა მიეღო. რაც შეეხება გაერისთავების ქვედა ზღვარს, ეს შედარებით ძნელი დასადგენია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ს. კაკაბაძემ მოსაზრება გამოთქვა, რომ ბაგრატ III-მ 988 წელს შეპყრობილ რატის რაჭის ერისთავობა მისცა (19;105). ჩვენ არ ვიზიარებთ ამ თვალსაზრისს. „მატიანე ქართლისაჲ“ წერს – „(რატიმ) მისცა ციხე თვისი ბაგრატს და თვით დასხდა მამულსა თვისსა არგუეთს“ (29;276). ცხადია, რომ მეფემ დამარცხებულ რატის მხოლოდ მამული დაუტოვა არგვეთში და არავითარი საერისთავოს მიცემაზე ლაპარაკი არ შეიძლება. შეუძლებელია ბაგრატ III-ს რატისთვის სხვა „ქუეყანა“ მიეცა საერისთავოდ. ბაგრატი არ იყო ის მეფე, რომელიც ორგულ ქვეშევრდომებს ასაჩუქრებდა. მეფემ სწორედ იმიტომ ჩამოართვა

კლდეკარის ერისთავობა რატის, რომ ის „არა მორჩილებდა კეთილად“. ასეთ შემთხვევაში რატისათვის ახალი საერისთავოს ბოძება ჩვენ ნაკლებად სავარაუდოდ მიგვაჩნია. ბაღვაშებმა კლდეკარის ერისთავობა მხოლოდ გიორგი I-ის დროს დაიბრუნეს. 1021 წელს შირიმნის ბრძოლაში მოკლული რატი კლდეკარის ერისთავი იყო და არა რომელმე სხვა მხარისა. თუ როდის გარდაიცვალა რატი I-ის ძე ლიპარიტ III, უცნობია. „მატიანე ქართლისაიდან“ ცხადია მხოლოდ ის, რომ 1028 წელს კლდეკარის ერისთავია ლიპარიტ IV. ჩვენი აზრით, ლიპარიტ III-ის ვაჟს, რატის მხოლოდ 1028 წლის შემდეგ შეეძლო რაჭის ერისთავობის მიღება. სამ ძმას: ლიპარიტ IV-ს, რატისა და ივანეს შორის უფროსი ლიპარიტი იყო. ჩვენი აზრით, შეუძლებელია რატის რაჭის ერისთავობა მაშინ მიეღო, როცა უფროს ძმას, ლიპარიტს ჯერ კიდევ არ ჰქონდა ერისთავის „ბელი“. ლიპარიტ IV-ის ერისთავობა კი მხოლოდ 1028 წლის მერე დასტურდება. ჩვენ ვთვლით, რომ რატის ერისთავობა XI საუკუნის 30-40-იან წლებში უნდა მიეღო. უფრო სავარაუდოა, რომ ეს 40-იანი წლების პირველ ნახევარში მოხდა. იმ დროს, როდესაც „დაეზავა ლიპარიტ აფხაზთა მეფესა. უბოძა მეფემან ქართლის ერისთავობა“ (29;298). შესაძლოა სწორედ ამ მომენტში ძლევამოსილმა ერისთავმა თავისი ძმისთვის რაჭის ერისთავობაც გამოითხოვა.

რატის (I) შემდეგ მისი ძე კახაბერი, ბერობაში კირილე ერისთავობდა. ჩვენი აზრით, მისი გაიგივება, პატარა ონის წარწერის კახასთან შეიძლება – „აღხოცენ ყოველნი ბრალნი მათნი ერისთავსა კახას“ (24;104). კახაბერის მერე კი ერისთავი მისი ძე, რატი II უნდა ყოფილიყო.

XI საუკუნიდან ვიდრე თამარის მეფობამდე ჩვენთვის უცნობია რაჭის ერისთავთა ვინაობა. თამარის დროს კი, „ისტორიანი და აზმანი“ რაჭისა და თაკვერის ერისთავად კახაბერ კახაბერისძეს ასახელებს (30;33). თამარის თანამედროვე კახაბერ II, შეიძლება ნიკორწმინდის ტაძრის XII-XIII საუკუნეების წარწერაში მოხსენიებულ კახაბერთან გავაიგივოთ: „მეოხ ეყავ წინაშე ღმრთისა კახაბერსა და რატის ამინ“ (30;169). კახაბერის შემდეგ ერისთავი მისი ძე რატი უნდა

გამხდარიყო. ჩვენი აზრით, სწორედ რატია მოხსენიებული ნიკორწმინდის შემდეგ წარწერაში – „ .... მეოხ ექმენ... დედოფალთ დედოფალსა ევფემიას, ასულსა სულკურთხეულისა ერისთავთ-ერისთავის რატისსა ამინ“ (30;170). როგორც ჩანს, წარწერის გაკეთების დროს რატი უკვე გარდაცვლილია. ზემოთ მოყვანილი წარწერები საშუალებას გვაძლევს, დავადგინოთ რაჭის კიდევ ორი ერისთავი: კახაბერი (II), თამარის თანამედროვე და მისი ვაჟი რატი (III).

საინტერესოა სხვავას ჯვრის წარწერა: „ ... მამკობსა შენსა რატის, რაჭის ერისთავსა და ძესა მისსა კახაბერს...“ გ. ბოჭორიძე წარწერას XIII საუკუნით ათარიღებს და ასეთ შემთხვევაში, წარწერაში მოხსენიებული რატი, რატი III არის, ხოლო კახაბერი – ჟამთააღმწერელთან ნახსენები კახაბერი. მაგრამ გ. ჩუბინაშვილი (42;490) და ექ. თაყაიშვილი (17;46) წარწერას XI საუკუნით ათარიღებენ. თუ გავიზიარებთ ჯვრის XI საუკუნით დათარიღებას, მაშინ მასში მოხსენიებული რატი არის რატი I და კახაბერი კი – კახაბერ I. ჩვენ გვიჭირს რაიმე კონკრეტულის თქმა, დათარიღების სადავოობისა და სხვა დამატებითი ცნობების უქონლობის გამო.

საინტერესო ცნობები აქვს კახაბერისძეებთან დაკავშირებით ჟამთააღმწერელს. XIII საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისში დასავლეთ საქართველოდან თბილისში დაბრუნებულ რუსუდან მეფეს თან რაჭის ერისთავიც ახლდა (30;195). რაჭის ერისთავი კოხტასთავის შეკრებაშიც მონაწილეობდა და დასავლეთ საქართველოს სხვა დიდებულებთან ერთად მანაც ადრე დატოვა ეს შეკრება – „უშორეს მყოფნი აფხაზნი, დადიანი ცოტნე და ბედანი ... და რაჭის ერისთავი, ესენი ყოველნი წარვიდეს კაზმად“ (30;215). რაჭის ერისთავი ქუთაისში დავით ნარინის გამეფებაშიც მონაწილეობდა – „ვითარ ცნეს აფხაზთა, სვანთა, დადიანთა, ბედიანმან, რაჭის ერისთავმან და სრულიად ლიხთ იმერთა, შემოკრბეს სიხარულითა დიდითა და და მეფე ყვეს დავით რუსუდანის ძე“ (30;229). ამ პერიოდში რაჭის ერისთავობა კახაბერსძეთა ხელშია და ცხადია, რომ ჟამთააღმწერელი სწორედ ამ საგვარეულოს წარმომადგენლებზე საუბრობს, მაგრამ სამწუხაროდ კონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრეტული პიროვნების სახელს არ ასახელებს.

კახაბერისძეთა საგვარეულოს ეკუთვნოდა დავით ულუს მეორე ცოლი გვანცა. ის თავდაპირველად ავაგ მხარგრძელის მეუღლე იყო. ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდგომ მეფემ იგი გაიცნო და დედოფლად მოიყვანა. XIII საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს მუღანიდან დაბრუნებულმა დავით VII-მ „შემოიარა ქვეყანა ავაგ ათაბაგისა, ივანე ათაბაგის ძისა. რამეთუ მას ჟამსა გარდაცვალებულ იყო ავაგ და არა დაშთა ყრმა წული, არამედ ქალი ერთი, სახელით ხუაშაქ. და მივიდა მეფე ბიჯნისს ტირილად და იხილა ცოლი ავაგისი, კახაბერისძეთა რაჭის ერისთავთა ასული, სახელით გუანცა, ქნულკეთილი. ეტრფიალა და შემდგომად მცირედისა მიიყვანა იგი ცოლად და დედოფლად და წარმოიყვანა სამეფოდ თვისად“. სწორედ გვანცა დედოფალი იყო დემეტრე II თავდადებულის დედა. დაახლოებით 1259 წელს „დედოფალი გუანცა მიუდგა და შვა ყრმა და უწოდეს დიმიტრი“ (30;237). ჟამთააღმწერლის მიხედვით, გვანცა დედოფალთან ცუდი, მტრული დამოკიდებულება ჰქონდა მესტუმრე ჯიქურს. „ამის გუანცას დედოფლობა მძიმედ უჩნდა მესტუმრესა ჯიქურს, რამეთუ მტერ იყვნეს“ (30;238). ეს ის ჯიქუ-რი იყო, რომელსაც თავის დროზე ბათო ყაენთან მიმავალმა დავით ულუმ თავის პირველ ცოლთან, ჯიგდახათუნთან ერთად სამეფოს გამგებლობა დაავალა – „მაშინ წარვიდა წინაშე ბათოსა მეფე დავით ნიჭითა უზომოთა და დაუტევა განმგებლად სახლისა სამეუფოსა დედოფალი ჯიგდახათუნ და მესტუმრე ჯიქური. რამეთუ იყო ესე ჯიქური ერთგული მეფეთა უმეტეს ყოველთა კაცთა და სხვად არარა ნიჭთა მქონებელი. ესე განდიდნა მეფისა დავითის მიერ დიდად ერთგულობისათვის. და ხელთ უდვა სამეფოსა და სახლისა განგება“ (30;229-230). ჩვენთვის უცნობია გვანცა დედოფლისა და მესტუმრე ჯიქურის მტრობის მიზეზი. კონფლიქტი დედოფალსა და მესტუმრეს შორის იმით დამთავრდა, რომ სუმბატ ორბელმა ჯიქური მეფესთან დაასმინა – ყაენს კაცებს უგზავნის „რათა აუწყოს ... სიმდიდრე მეფისა და ეგულების განდგომა“. მეფის ბრძანებით, ჯიქური მტკვარში გადააგ-

დეს. უცნობია, სუმბატ ორბელი გვანცა დედოფალთან შეთანხმებულად მოქმედებდა თუ არა. 1260 წელს, აჯანყების დაწყების წინ, დავით ულუმ გვანცა დედოფალი და მცირეწლოვანი დემეტრე ბიჯნისში, ავაგის სასახლეში დატოვა. მონღოლებმა ისინი დაატყვევეს და ყაენთან გაგზავნეს, სადაც დაახლოებით 1261-1262 წლებში გვანცა დედოფალი სიკვდილით დასაჯეს. „ხოლო გუანცა დედოფალი, ავაგის ცოლყოფილი, მოკლულ იქნა თათართა შინა მყოფი. რომელსა იტყვიან, ვითარმედ ასულისა მისისა ხუაშაქისა, რომელი იყო ცოლი საჰიბ დივანისა, ხოჯა შამშადინისა, მისითა განზრახვითა მოიკლაო" (30;250). ძნელი სათქმელია, თუ რამდენად სწორია ჟამთააღმწერლის ზემოთ მოტანილი ცნობა, აკი იგი თავადაც წერს – „იტყვიანო". ვარაუდის სფეროს განეკუთვნება იმ მიზეზის დადგენაც, რამაც დედა-შვილს შორის კონფლიქტი გამოიწვია. გვანცა დედოფლის სიკვდილით დასჯაში მთავარი ალბათ მაინც ის იყო, რომ მონღოლებმა აჯანყებული დავით VII ხელში ვერ ჩაიგდეს და შური დედოფალზე იძიეს. ჩვენი აზრით, გვანცა დედოფალი, კოხტასთავის შეთქმულების მონაწილე რაჭის ერისთავის ასული (ან და) უნდა ყოფილიყო. ალბათ ამიტომაც იფარებდა დემეტრე II ქართლში თავის ბიძას (ან ბიძაშვილს), კოხტისთავის შეთქმულების მონაწილე ერისთავის ძეს, კახაბერ III-ს. მიუხედავად იმისა, რომ პიროვნულად მას პატივს არ სცემდა – „და არა პატივი ეპყრა არცა ყაენისა და არცა დიმიტრი მეფისაგან ორგულობისათვის მეფეთასა".

კახაბერ III კახაბერისძე XIII საუკუნის 60-70-იან წლებში ჩანს ასპარეზზე. ის დავით ნარინის მოწინააღმდეგე იყო. XIII საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში, დავით ულუს დასავლეთ საქართველოში გადასვლის შემდეგ, ადგილობრივ ფეოდალთა ნაწილმა ის დავით ნარინს დაუპირისპირა და ამ უკანასკნელის ტახტიდან ჩამოგდება განიზრახა. მემატიანე წერს: „მაშინ ეზრახნეს კახაბერისძესა რაჭის ერისთავსა კახაბერსა, ქუაბულისძეთა, ფარაჯანიანთა სარგისს, რათა ლაშას ძე დავით ყონ მეფედ" (30;242-243). ბუნებრივია, რომ რაჭის ერისთავი თავისი სიძის, დავით ულუს მომხრე იყო.

მაშინ დავით ნარინი ოდიშის ერისთავის, ბედან დადიანის მხარდაჭერამ იხსნა. რა ღონისძიებები გაატარა დავით VI-მ კახაბერის წინააღმდეგ, უცნობია. მოვლენათა შემდგომი განვითარებიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მეფემ რაჭის ერისთავის საქციელი უპასუხოდ დატოვა. კახაბერი კი კვლავ განაგრძობდა მეფის წინააღმდეგ ბრძოლას და მონღოლებსაც კი დაუკავშირდა. XIII საუკუნის 70-იანი წლების შუა ხანებში, „ღალღურ (დასავლეთ საქართველოში შეხიზნული თუ შეგზავნილი მონღოლი – მ.ბ.) და რაჭის ერისთავი კახაბერი შეიზრახნეს ურთიერთარს, რათა განუდგნენ მეფეს დავითს, რუსუდანის ძესა. და წარვიდეს ყაენს აბაღას წინაშე ... და წარვიდა ღალღურ და კახაბერისძე კახაბერი, რომელი იყო თესლით ბოროტი, ვითარ გვაუწყებს წიგნი ბაღუაშთა და ნათესავთა მისთა ... მოიწივნეს ყაენს წინაშე". კახაბერმა მტრის მეგზურობა იკისრა. ყაენის წინაშე „წარსდგა და თქვა: უკეთუ ნებავს ყაენსა შურისგებად დავით მეფესა ზედა, მე მისთვის მოვსულვარ, ვიცნი გზანი შესავალნი და წარვასხამ ლაშქართა და ვგონებ, რომელ მეფე ხელთ ვიგდო და ღალღურცა იცის გზა და ძალი ქვეყანისა მათისა". ჟამთააღმწერლის სიტყვებით, მონღოლებმა ოცდაათ ათასიანი ჯარი გამოყვეს. კახაბერის მეშვეობით ისინი დასავლეთ საქართველოში გადავიდნენ და ქუთაისში, აბანოში მყოფ მეფეს თავს დაესხნენ. დავით ნარინმა გაქცევა შეძლო და თავს უშველა. მონღოლებმა ქალაქი გაძარცვეს, ეკლესიები მოაოხრეს, მოსახლეობის ნაწილი დახოცეს, ნაწილი ტყვედ აიყვანეს და უკან გამობრუნდნენ (30;268-269).

მონღოლებმა მეორედაც დალაშქრეს იმერეთი, მაგრამ მეფე ვერც ამჯერად ჩაიგდეს ხელში. კახაბერ III, როგროც ჩანს, იძულებული გახდა თავისი საერისთავო დაეტოვებინა და თავი ქართლში შეეფარებინა. „რაჭის ერისთავი კახაბერი იყო ქართლს და აქუნდა ქუეყანა ატენისა. და არა პატივი ეპყრა არცა ყაენისა და არცა დიმიტრი მეფისაგან ორგულობისათვის მეფეთასა. ამისთვის შეიწრებული ევედრა მეფესა რათა შეიწყალოს და უბოძოს მამული მისი. ხოლო ტკბილმან და მოწყალემან მეფემან შეიწყალა და შეუნდო ფიცითა

მტკიცითა, რათა არა აბრალოს პირველი შეცოდება და ეგოს ერთგულებასა ზედა მისსა. და მიუბოძა მამული მისი ყოველი და კუალად აგო მამულსა მისსა რაჭას. ხოლო ვითარ დაყო მცირედი ჟამი იწყო მათვე მამურ-პაპურთა კუალთა სვლად და ვითარ ღორი ისწრაფდა მწვირეთა მიმართ და ვითარ იქედნე გესლისა დათხევად, რამეთუ გვარისაგან მოაქვნდა ორგულობა და დამვიწყებელმან ფიცთა საშინელთამან იწყო ღალატად მეფეთა. და წარავლინა კაცი და წიგნი ალიყანს თანა ათასისთავსა, რომელი იდგის მთათა ჯავახეთისათა და კოლისათა, რათა პირველსაებრ დაესხას მეფესა და ადვილად ხელთ იგდოს მეფე." მოღალატე ერისთავის განზრახვა მეფემ შეიტყო და კახაბერი სასტიკად დასაჯა. „შეიპყრა მეფემან და პირველ თუალი დასწუა და მერმე ერთი ხელი და ერთი ფერხი მოჰკუეთა. და ორნი შვილნი მისნი მისცა ექსორიობად, კოსტანტინეპოლს წარგზავნა, რამეთუ დედოფალი, ცოლი მისი, ასული იყო დიდისა პალიალოღისა მეფისა. ხოლო კახაბერი, მცირე ცხოვრებული, განვიდა და მოკუდა. და მოისპო ყოველი ნათესავი მისი, ბაღუაშთა კახაბერის-ძეთა, არა დაშთა და აღიხოცა ნათესავი მისი და სახსენებელი მათი" (30;275).

საინტერესოა მღვიმის ფრესკული წარწერა – „ამა ეკლესიის აღმშენებელი რაჭის ერისთავი კახაბერიძე რატი. მეუღლე მათი რუსუდან. კახაბერიძე ნიანია". ს. კაკაბაძე წარწერას XV საუკუნით ათარიღებდა (39;127-128). გ. წერეთლის აზრით, წარწერა XIII საუკუნისაა (43;95). დ. ბაქრაძე თვლიდა, რომ ფრესკაზე გამოსახული პიროვნებები XI-XII საუკუნეების რაჭის ერისთავთა ოჯახის წევრები არიან (40;62,145). ო. სოსელიას აზრით, დ. ბაქრაძის დათარიღება უფრო სწორია, რადგან ამას მხარს ისიც უჭერს, რომ რატი ნიკორწმინდის ტაძრის XI საუკუნის წარწერაში იხსენიება (24;36). როგორც ვნახეთ, რატი XIII საუკუნის წარწერაშიც იხსენიება. ამდანად შეიძლება მართებულია გ. წერეთლის დათარიღება. მაშინ მღვიმის წარწერის რატი არის რატი III, ნიანია კი მისი ძე და შესაბამისად კახაბერ III-ის მამა. ეს კია, რომ უცნობი რჩება, იყო ნიანია ერისთავი თუ არა. მაგრამ იმის გათვალის-

წინებით, რომ ერისთავები იყვნენ მისი მამაც და შვილიც, თავად ნიანიას ერისთავობაც დასაშვებად მიგვაჩნია. ასეთ შემთხვევაში გამოდის, რომ ნიანია ის პიროვნებაა, რომელიც კოხტისთავის შეთქმულებაში მონაწილეობდა და გვანცა დედოფლის მამა იყო.

ჟამთააღმწერელი პირდაპირ წერს, რომ „მოისპო ყოველი ნათესავი მისი, ბაღუაშთა კახაბერის-ძეთა, არა დაშთა და აღიხოცა ნათესავი მისი და სახსენებელი მათი" (30;275). თ. ბერაძის აზრით, კახაბერისძეთა უმემკვიდრეოდ დარჩენა სწორი არ არის. „ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცულია ერთი საბუთი, რომელიც XIV-XV ს.ს. ეკუთვნის. მასში მოთხრობილია იმ შეტაკებაზე, რომელიც ერისთავ მირიან ჭარელისძესა და გიორგი კახაბერიძეს შორის მოხდა" (10;188). რა შეიძლება ითქვას ამასთან დაკავშირებით? ჟამთააღმწერელი საკმაოდ სანდო წყაროა და თითქოს არც სახელი გიორგია ტრადიციული კახაბერისძეთა საგვარეულოსათვის. თუმცა თ. ბერაძის არგუმენტიც ანგარიშგასაწევია. აქ მრავალი მოსაზრების გამოთქმა შეიძლება. ეგებ კახაბერ III-ის შვილების რომელიმე შთამომავალი კვლავ დაბრუნდა საქართველოში (ასეთი რამ XIV საუკუნის II ნახევარში თუ მოხდებოდა. რადგან ჟამთააღმწერლის მიერ თავისი მატიანეს წერის დროს და ეს სავარაუდოდ XIV საუკუნის შუა ხანები უნდა იყოს, კახაბერისძეთა შთამომავლები საქართველოში არ იმყოფებიან), ან ეგებ და ჩვენი აზრით ეს უფრო სავარაუდოა, რომელიმე ახალი საგვარეულო დაემკვიდარა კახაბერისძეთა ნაფუძარზე და გადაშენებული საგვარეულოს სახელი მიიღო. მსგავსი ფაქტები ცნობილია შუა საუკუნეების საქართველოში. XV საუკუნის დასაწყისის ერთერთ საბუთში წერია, „აბულეთისძედ დასმულმან ამირახორმან ხიმშიამანა" (23;65).

ეროვნული ბიბლიოთეკა

შარვაშისძეები

XI-XIII საუკუნეებში შარვაშისძეები აფხაზთა ერისთავები იყვნენ. ჩვენ იმ მკვლევართა მოსაზრებას ვიზიარებთ, რომლებიც შარვაშისძეთა გვარს XI საუკუნეში მოღვაწე ქუაბულელ ჭაჭას ძე ოთაღოს უკავშირებდნენ (38;193). ეს უკანასკნელი ბაგრატ IV-ის ერთ-ერთი სარდალი იყო და XI საუკუნის 40-იან წლებში ანაკოფიის ციხის გათავისუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლას მეთაურობდა. „მატიანე ქართლისაძს" თანახმად, „იყო ჟამი გაზაფხულისა და ბაგრატ აფხაზეთს იყო. მოადგა ანაკოფიას და მისწურა წასაღებლად. და მოვიდეს ტფილელნი ბერნი, რამეთუ მის ჟამისა პირველ მომკვდარიყო ტფილელი ამირა ჯაფარ. უქადეს ქალაქი და უხმეს სასწრაფოდ. წამოვიდა და მოაყენა ანაკოფიას გარე ქვაბულელ ჭაჭას ძე ოთაღო აფხაზეთისა ლაშქრითა" (29;299). ოთაღომ ანაკოფიის გათავისუფლება ვერ შეძლო. რადგან მას აფხაზთა ჯარი ემორჩილებოდა (ამ შემთხვევაში ტერმინი აფხაზეთი საკუთრივ აფხაზეთს აღნიშნავს), ლოგიკურია, რომ ის აფხაზთა საერისთავოს მმართველად მივიჩნიოთ.

ოთაღოს შთამომავალი იყო თამარ მეფის თანამედროვე აფხაზთა ერისთავი, ოთაღო შარვაშისძე (სახელის იდენტურობის გარდა, გასათვალისწინებელია, რომ ორივე აფხაზთა ერისთავი იყო). მართალია „ისტორიანი და აზმანის" მიხედვით – „ოთაღო შარვაშის-ძე – ცხუმის ერისთავად, ამანელისძე – არგუეთის ერისთავად" არიან დასახელებული (30;33-34), მაგრამ ტექსტის ეს ადგილი ნაკლულია და სწორი უნდა იყოს ი. ანთელავას მიერ შემოთავაზებული აღდგენა – „აფხაზთა ერისთავად ოთაღო შარვაშის-ძე, ცხუმის ერისთავად ამანელისძე" (4;46). თავის დროზე ჩვენ ეს საკითხი დაწვრილებით განვიხილეთ და ამჯერად მასზე აღარ შევჩერდებით (8;245-247).

შარვაშისძეთა საგვარეულოს წარმომადგენელი, დარდინი, 1243 წელს ქოსე-დაღის ბრძოლაში, რუმის სულთან ქაიხუსრევის მხრეს იბრძოდა. რამ განაპირობა დარდინის რუმის სულთნის მხარეზე ყოფნა, უცნობია. შეიძლება მხოლოდ

ვარაუდი გამოვთქვათ. მიუხედავად იმისა, რომ მონღოლები დასავლეთ საქართველოში არ გადასულან, დარდინი შესაძლოა იმ ქართველთა შორის იყო, რომლებიც მონღოლებთან ბრძოლის გაგრძელების მომხრეები იყვნენ. მემატიანე წერს, რომ სულთანმა „განაჩინა მხედართა თავად შარვაშისძე აფხაზი, სახელით დარდინ, რომელი სიმხნისა მისისათვის პირველვე დიდსა დიდებასა აღეყვანა და მტკიცედ ეპყრა სჯული". ჟამთააღმწერელი ხაზს უსვამს დარდინის ვაჟკაცობას, ხოლო მისი სიტყვები – „მტკიცედ ეპყრა სჯული" იმას უნდა მიანიშნებდეს, რომ მიუხედავად სულთნის მხარეზე ყოფნისა, შარვაშისძეს ქრისტიანობა შენარჩუნებული ჰქონდა. ბრძოლა მონღოლთა გამარჯვებით დამთავრდა. „მოსწყდა ურიცხვი სიმრავლე სპათაგან სულტანისათა, სადა სახელოვანიცა შარვაშისძე დარდინ, აფხაზი, მხედართმთავარი მათი მოიკლა" (30;192-194). მეტი ცნობები შარვაშისძეთა საგვარეულოს შესახებ, ჩვენთვის საინტერესო პერიოდში, წყაროებში აღარ მოიპოვება.

გვინდა კიდევ ერთ საკითხს შევეხოთ. როგორც ცნობილია, 1073 წელს გიორგი II-ს ივანე ბაღვაში, ნიანია ქუაბულისძე და ვარდან ვარდანისძე აუჯანყდნენ. მეფემ მათ გარკვეული ტერიტორიები უბოძა და ამ გზით დააშოშმინა. „უბოძა ივანეს სამშვილდე... ნიანიას თმოგვი... ვარდანს უბოძა ასკალანა და უთაღუბო ჯაყელთა, ივანეს სიტყვითა, უბოძა და ყოველივე ერთგული და ორგული დაფარა წყალობითა" (29;316). ი. ანთელავას აზრით, „უთაღუბო ჯაყელთა"-ს ნაცვლად უნდა აღვადგინოთ – „ოთაღო ჭაჭასძე" და ასეთ შემთხვევაში ტექსტი შემდეგი სახით უნდა წავიკითხოთ: „და ვარდანს უბოძა ასკალანა და ოთაღო ჭაჭას ძესა, ივანეს სიტყვებით, უბოძა [...] და ყოველივე ერთგული და ორგული დაფარა წყალობითა" (4;23). ტექსტის ასეთი აღდგენის შემთხვევაში გამოდის, რომ მეფის წინააღმდეგ მოწყობილ აჯანყებაში აფხაზთა ერისთავი, ოთაღოც მონაწილეობდა. ჩვენ ნამდვილად ვიზიარებთ მკვლევარის მოსაზრებას, რომ ტექსტში „ჯაყელთა" აღდგენა არასწორია. მით უმეტეს, რომ მარიამისეულ, ანასეულ და მაჩაბლისეულ ნუსხებში წერი

„ჭასყლთა“ (29;316). რა ფორმით უნდა მოხდეს ამ სიტყვის აღდგენა, ჩვენ არ ვიცით. მაგრამ იმავე მარიამისეულ და მაჩაბლიეულ ნუსხებში დაფიქსირებულია ფორმა „უთაღუბო“ და მისი გადაკეთება სახელ ოთაღოდ, ჩვენ მართებულად არ მიგვაჩნია. მნიშვნელოვანია ერთი მომენტიც, მემატიანე აღწერს, თუ რა მოიმოქმედა სამივე აჯანყებულმა. ივანე „დადგა ქსნის პირსა“, ნიანიამ „წარუღო ქუთათისის საჭურჭლე და შედგა ქუთათის შიგა“, ვარდანმა „დაარბია და ამოსწყვიდა საეგრო“. მეოთხე აჯანყებულიც რომ ყოფილიყო, ანუ ოთაღო, მემატიანე ალბათ მის ქმედებასაც აღწერდა.

ამანელისძენი

ამ საგვარეულოს წარმომადგენლები პირველად XII საუკუნის 80-იან წლებში ჩნდებიან ასპარეზზე. 1184 წელს, თამარის მეფედ კურთხევაში ამ საგვარეულოს წევრებიც იღებდნენ მონაწილეობას – „და სრულ ყვეს მოხელეთა სვიანთა და დიდებულთა ვარდანისძეთა, საღირისძეთა და ამანელისძეთა მოღება და დადება ხრმლისა“ (30;27). როგორც ჩანს ამავე პერიოდში ამანელისძეთა ხელში იყო ცხუმის ერისთავობა.

თავის დროზე ი. ჯავახიშვილმა გამოთქვა და შემდგომ ი. ანთელავამ გაიზიარა მოსაზრება, რომ დავით ნარინის მეუღლე, თამარი ამანელისძეთა საგვარეულოს წარმომადგენელი იყო (4;46). მიუხედავად იმისა, რომ სიგელებში დედოფალი ემენელასძედ არის მოხსენიებული (33;161,163), ჩვენც იმ მოსაზრებას ვიზიარებთ, რომ აქ ამანელისძეთა საგვარეულო უნდა ვიგულისხმოთ.

წყაროებით ჩვენთვის ცნობილია XI-XIII საუკუნეებში დასავლეთ საქართველოში მოღვაწე რამდენიმე პიროვნება, რომელთა ამა თუ იმ ფეოდალური საგვარეულოსადმი მიკუთვნება ვერ ხერხდება. ასეთებია მაგალითად: ნიკორწმინდის დაწერილის ერისთავთ-ერისთავი მიქელი, რგანის წარწერის ერისთავი აბუნასრი, სავანეს წარწერაში მოხსენიებული ძმები: ერისთავი ხურსი და ერისთავთ-ერისთავი გიორგი.

გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის სია

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. ათონის ივერიის მონასტრის 1047 წლის ხელნაწერი აღაპებით, ტფ. 1901 წ.
2. ი. ანთელავა, XI-XV სს. საქართველოს სოციალ-პოლიტიკური ისტორიის საკითხები, თბ. 1980 წ.
3. ი. ანთელავა, დადიანთა საგვარეულოს გენეალოგიიდან XIII ს-ში. ჟურნალი „დროშა" 7, თბ. 1986 წ.
4. ი. ანთელავა, XI-XIV სს. ქართული საისტორიო წყაროები, თბ. 1988 წ.
5. ი. ანთელავა, ლევან II დადიანი, თბ. 1990 წ.
6. მ. ახალაშვილი, X-XV სს. წარწერები სვანეთის ჭედური ხელოვნების ძეგლებზე, თბ. 1987 წ.
7. დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, თბ. 1987 წ.
8. მ. ბახტაძე, ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში, თბ. 2003 წ.
9. თ. ბერაძე, ოდიშის პოლიტიკური გეოგრაფიიდან. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული III, თბ. 1967 წ.
10. თ. ბერაძე, რაჭა ფეოდალურ ხანაში. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული V, თბ. 1975 წ.
11. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები ტ. II, თბ. 1965 წ.
12. გ. ბოჭორიძე, რაჭის ისტორიული ძეგლები. სახ. მუზეუმის მოამბე ტ. V, თბ. 1928 წ.
13. გ. ბოჭორიძე, რაჭის ისტორიული ძეგლები. სახ. მუზეუმის მოამბე ტ. VII, თბ. 1931 წ.
14. გ. ბოჭორიძე, რაჭის ისტორიული ძეგლები. სახ. მუზეუმის მოამბე ტ. VIII, თბ. 1933 წ.
15. ექ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს. პარიზი 1937 წ.
16. ექ. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნები წ. II, ტფ. 1914 წ.
17. ექ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში 1919 და 1920 წლებში. თბ. 1963 წ.

18. პ. ინგორიყვა, რუსთველიანას ეპილოგი თხზ. ტ. I, თბ. 1963 წ.
19. ს. კაკაბაძე, წინასწარი ცნობა დასავლეთ საქართველოს ზოგიერთი ეპიგრაფიკული მასალის შესახებ. საისტორიო კრებული IV, თბ. 1926 წ.
20. შ. მესხია, საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში, თბ. 1973 წ.
21. ე. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონის ისტორიისათვის, თბ. 1962 წ.
22. თ. ჟორდანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი. წიგნი I, ტფ. 1892 წ.
23. თ. ჟორდანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი. წიგნი II, ტფ. 1897 წ.
24. ვ. სილოგავა, ქართული წარწერების კორპუსი II. ნაკ. I, თბ. 1980 წ.
25. ვ. სილოგავა, სვანეთის წერილობითი ძეგლები ტ. II, თბ. 1988 წ.
26. ო. სოსელია, სამეგრელოს სამთავროს წარმოშობის თარიღისათვის. მიმომხილველი II, თბ. 1951 წ.
27. ო. სოსელია, რაჭის სათავადო. საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები I, თბ. 1970 წ.
28. ა. ტულუში, XIII-XIV სს. მიჯნის უცნობი წარწერა. ჟურნალი „ძეგლის მეგობარი" 45, თბ. 1977 წ.
29. „ქართლის ცხოვრება" ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ ტ. I, თბ. 1955 წ.
30. „ქართლის ცხოვრება" ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ ტ. II, თბ. 1959 წ.
31. „ქართლის ცხოვრება" ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ ტ. IV, თბ. 1973 წ.
32. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია ტ. IV, თბ. 1979 წ.

გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge